ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გოჩა კოკაია: „სუსი ასრულებს კალაძის კლანის დაკვეთას“



გვ.4

რა ვერ იპოვეს ნაციონალების კანდიდატის ბინის ჩხრეკისას

6 ივლისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ხუთშაბათი, 6 ივლისი, 2017 №158 (7393) ფასი: 50 თეთრი

# ალეკო ელისაშვილი და გიორგი ვაშაძე თბილისის მერობისთვის იბრძოლებენ



გვ.4



## სიმონ ნოზაძე: „პარლამენტის დატოვება არც მიფიქრია“

ვინ და რატომ უვრცელებს ჭორებს ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს



გვ.4

## ოპოზიცია 2020 წელს მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითხოვს

გვ.2





## შსს ბორდელებს დაერია

გვ.3







## დავით ლორთქიფანიძე: „არ ვიცი, რატომ არ მივიდა ბიძინა ივანიშვილი კალაძის პრეზენტაციაზე“

გვ.5





## მამუკა კაციტაძე: „კონსტიტუციაზე პრეზიდენტის ვეტო ყველაზე უმტკივნეულო გზაა“

გვ.2

ISSN 1987-9385



## რუსეთი საქართველოში ახალ დასაყრდენს ეძებს?

რას აკეთებენ მოსკოვში ჩასული ქართველი პოლიტიკოსები

გვ.5

# ოპოზიცია 2020 წელს მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითხოვს

ნონა ცაბაძე

ცოტა ხნის წინ ოპოზიციური პარტიების შეხვედრა შედგა. თუ რაზე ისაუბრეს პარტიებმა და რა შეთანხმებამდე მივიდნენ, „ახალი თაობა“ ამის გასარკვევად ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერ ნიკა რურუას და „დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელ გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.



**ნიკა რურუა:**

***– ბატონო ნიკა, პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მზად არის ჩაერთოს მოლაპარაკებებში, რათა ოპოზიციასთან კონსენსუსი შედგეს. მოხერხდება შეთანხმება? რა გზებს სთავაზობს ოპოზიცია?***

– კომპრომისი ოპოზიციამ კი არ უნდა შესთავაზოს, ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომელმაც სცადა საზოგადოებისთვის თავს მოეხვია ოლიგარქიული, სრულიად უვარგისი კონსტიტუციის მოდელი. საზოგადოებამ ეს მოდელი არ მიიღო და არც მიიღებს.

მთელი პროცესი უნდა დაიწყოს თავიდან. უნდა მიხვდეს ივანიშვილი, რომ ამ კონსტიტუციას არ ექნება ლეგიტიმაცია, რადგან ის არის ერთი პარტიის მიერ ხელების გრეხით შექმნილი და მიღებული ცვლილებები.

***– ამ პროცესის თავიდან დაწყება შესაძლებელია? ასე მარტივია ეს ყველაფერი?***

– საკონსტიტუციო პროცესის თავიდან დაწყების მილიონი გზა არსებობს. შეუძლიათ მესამე მოსმენით არ მიიღონ, პრეზიდენტმა ვეტო დაადოს და ასე შემდეგ. მთავარი არის ნება, რომელიც არ ეტყობა ამ ჯინიან ახალგაზრდას, რომელსაც სპიკერის პოზიცია უკავია. მას არ ესმის კონსტიტუციის მნიშვნელობა. ის არის უვიცი, არ იცის კონსტიტუციის ისტორია და ვერ ხვდება, რომ კონსტიტუცია ერთი პარტიის წესდება არ არის.

**გიორგი ახვლედიანი:**

***– ბატონო გიორგი, რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ „ოცნება“ დათმობაზე წავა?***

– ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმ საკონსტიტუციო პროექტზე, რომელიც ვენეციის კომისიამ შეამოწმა, რეკომენდაციები გასცა და დასკვნები გააკეთა. ანუ იმ საკონსტიტუციო პროექტზე უნდა ვისაუბროთ, რომელზეც საკონსტიტუციო კომისია მსჯელობდა!

***– ანუ?***

– ანუ, სადაც საუბარია პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე და არავითარ შემთხვევაში რაიმე დათქმებზე 2020 წელთან დაკავშირებით. არავითარი მაჟორიტარული სისტემის დატოვება 2020 წლისათვის და ვითომდა კახა ოქრიაშვილის ჭკუაზე მოსიარულე ხელისუფლება. ეს არ შეიძლება იყოს განხილვის საგანი!

კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა რედისონში, სადაც იყო ყველა ოპოზიციური პარტია, მთელი არასამთავრობო სექტორი, მთელი საერთაშორისო დიპლომატიური კორპუსი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ყველამ მკაფიოდ დავაფიქსირეთ პოზიცია, რომ ამოსავალი წერტილი იყო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა.

***– მხოლოდ ეს და არანაირი დათმობა?***

– ეს იყო ის, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ და რაზეც შევთანხმდით. თუ ხელისუფლება თანახმაა, შეგვიძლია დავსხდეთ და ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ისე, რომ ეს ყველაფერი იყოს სამართლიანი და ყველა პარტიისთვის მისაღები. ვისაუბროთ ბონუსების საკითხზე, ბარიერის საკითხზე ამ საკონსტიტუციო პროექტის ფარგლებში, რომელზეც დასკვნები დადო ვენეციის კომისიამ.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია მზადაა, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ კონსტიტუციას თუ შემცირდება მაჟორიტარების რიცხვი. იყო ამაზე საუბარი ამ შეხვედრისას?***

– მე არ მინდა გავრცელებულ ხმებს დავეყრდნო. ყველა აცხადებს, რომ ამოსავალი წერტილი არის საარჩევნო სისტემა და ეს არის პროპორციულ სისტემაზე გადასვლა.

***– რატომ შეიცვალა კობახიძემ პოზიცია, ის უფრო ხისტი იყო. სერიოზული შენიშვნები მიიღო სტრასბურში?***

– მე მაქვს ორი მოსაზრება მაგ საკითხთან დაკავშირებით, ერთი ის, რომ ძალიან მკაცრად მოსთხოვა ევროსაბჭომ აბსურდული და ხისტი პოზიციის დათმობა და დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ეს არის მიზეზი, ან მეორე – „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ დიალოგს წარმართავს ოპოზიციასთან იმ კონტექსტში, რომ მაჟორიტარული სისტემა დავტოვოთ და ჩვენ კიდევ ბლოკების საკითხს დაგითმობთ. ალბათ იმედი აქვთ იმისა, რომ შეიძლება ვიღაცა მიიმხრონ ამ საკითხზე ოპოზიციური პარტიებიდან.



დიდი იმედი მაქვს, რომ მათ ეს არ გამოუვათ. ჩვენ ვერ დავთანხმდებით ხელისუფლების ამ აფიორას. მათ ერთი საკონსტიტუციო პროექტი გადააგზავნეს ვენეციაში და შემდეგ სრულიად სხვა მიიღეს.

# მამუკა კაციტაძე: „კონსტიტუციაზე პრეზიდენტის ვეტო ყველაზე უმტკივნეულო გზაა“

## რას აპირებს ოპოზიცია

ნათია ხურცილავა

ახალი მემარჯვენეების ლიდერი მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, თუ რას სთავაზობს ოპოზიცია ხელისუფლებას საკონსტიტუციო ცვლილებების ფორმატში.

***– ბატონო მამუკა, ოპოზიციის გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხებოდა, რა კონკრეტული გადაწყვეტილება იქნა მიღებული?***

– ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, 15 პარტია ვთანხმდებით: პირველი, ვაცხადებთ მზაობას ხელისუფლებასთან შეხვედრის საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით. მეორე, ასევე მზად ვართ ორმხრივი კომპრომისისთვის გონივრულ ვადებში. მესამე, შედგეს თანხმობის დოკუმენტი, რომელიც კონსენსუსზე იქნება დაფუძნებული.

გამოყოფილია კონკრეტული მოთხოვნები: მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება და სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და მანდატების განაწილების წესი. საარჩევნო ბლოკების არგაუქმება და საარჩევნო ბარიერის შემცირება. ეს სამი საკითხი არის ოპოზიციის მხრიდან მსჯელობის საგანი ხელისუფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ საკითხზე ოპოზიციას აქვს კონკრეტული ჩამოყალიბებული პოზიცია, ჩვენ ვუშვებთ შესაძლო კომპრომისს. რა იქნება ეს კომპრომისი, ამას მოვილაპარაკებთ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის მზაობა ექნება.



***– ბატონო მამუკა, დღეს თქვენ ვერ მიკონკრეტებთ, თუ რას შეეხება ოპოზიციის მხრიდან კომპრომისი, ეს იქნება საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ბლოკები თუ საარჩევნო ბარიერი?***

– დიახ, ვერ გიკონკრეტებთ, რადგან ეს არ გახლავთ მარტივი საქმე. ოპოზიცია ჯერ შესაძლო კომპრომისებზე ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ თუკი ხელისუფლების მხრიდან მზაობა იქნება ასეთ შეხვედრაზე და გარკვეული შეთანხმების მიღწევაზე, ჩვენ მოვძებნით იმ ჩარჩოს, რომელიც იქნება კომპრომისული ჩვენი მხრიდან, მაგრამ თუ ხელისუფლება არ დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან, ტყუილად თავის მტვრევას არ ვაპირებთ, თუ რა კომპრომისი შევთავაზოთ ხელისუფლებას.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ უკვე დაუშვა კომპრომისი, 3%-იან საარჩევნო ბარიერს გულისხმობს და აცხადებს, რომ ახლა ჯერი ოპოზიციაზეა.***

– კომპრომისის მიღწევა დისტანციურად შეუძლებელია. საჭიროა კონკრეტული ფორმატი და დიალოგი, ვინ რაზე თანხმდება და ვინ რაზე არ თანხმდება. რაც შეეხება 3%-იან საარჩევნო ბარიერს, ეს არ არის კომპრომისი, ეს არის ერთჯერადი გადაწყვეტილება 2020 წლისთვის მიღებული, სადაც მაჟორიტარული არჩევნები არ უქმდება. თუ ხელისუფლება ერთჯერად 3%-იან ბარიერს კომპრომისად თვლის, მას, როგორც კომპრომისს, არ იღებს ოპოზიცია. ჩვენ, ოპოზიცია, ხელისუფლებას ვთავაზობთ, ერთობლიობაში განვიხილოთ ეს ყველაფერი. არათუ ოპოზიცია, ამას სრულიად არასაკმარის ნაბიჯად მიიჩნევს ვენეციის კომისია და არ იღებს საერთაშორისო საზოგადოება.

***– საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტი ორი მოსმენით პარლამენტმა უკვე მიიღო. სამართლებრივად პროცესის უკან დაბრუნება რთულია, თუმცა, გარკვეული გზები არსებობს. თქვენ რას სთავაზობთ ხელისუფლებას, რომ პროცესი შეჩერდეს და კონსტიტუციის პროექტი უკან გაიწვიოს ხელისუფლებამ?***

– არა, პირველ რიგში, საკითხის შეთანხმებას პოლიტიკური ნება სჭირდება. თუ პოლიტიკური ნება იქნება, შემდეგ დგება სამართლებრივი საკითხი. ხელისუფლების მხრიდან თუ იქნება პოლიტიკური მზაობა შეთანხმების მიღწევის, აბსოლუტურად გამართული სამართლებრივი გზა არსებობს მისი გაფორმების.

***– კონკრეტულად?***

– სხვადასხვა სამართლებრივი გზა არსებობს. პროცესის ახლიდან დაწყების, მესამე მოსმენიდან მეორე მოსმენაზე გადატანის, მაგრამ ყველაზე უმტკივნეულო გზა არის, თუ პოლიტიკური კონსენსუსის თანამონაწილე გახდა პრეზიდენტი. ის ვეტოს დაადებს კონსტიტუციის პროექტს და პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნებს უკან. ეს არის ყველაზე უმტკივნეულო გზა.

***– „ევროპული საქართველო“ ხელისუფლებას მართლა სთავაზობს, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებზე მოხდეს მაჟორიტარული მანდატების შემცირება პროპორციულის ხარჯზე?***

– ეს ინფორმაცია როდესაც გაჩნდა, ოპოზიციის საერთო შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები, მათ ეს ინიციატივა არ დაადასტურეს.

***– თუ ხელისუფლებამ არ მოგისმინათ არც ოპოზიციას და არც საერთაშორისო საზოგადოებას, მაშინ ოპოზიციას რა ალტერნატივა გრჩებათ? ამ საკითხზე თუ არის ოპოზიციაში შეთანხმება?***

– ამ შემთხვევაში კონსტიტუციას დაემუქრება პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფრთხე. პოლიტიკური ლეგიტიმაციის პრობლემა იმუშავებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს.

ბუკიკიო რატომ აღმოჩნდა ბათუმში, რატომ შეხვდა პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრეზიდენტს, ოპოზიციას?! რატომ არის დღეს კობახიძე სტრასბურში?! თუ ყველაფერი ასე მარტივად არის და ხელისუფლება მაინც მიიღებს მესამე მოსმენით სექტემბერში საკონსტიტუციო ცვლილებებს, რატომ არ ასრულებს პროცესს?! ყველამ კარგად ვიცით, რომ საქმე ნამდვილად არ არის ასე მარტივად. კონსტიტუცია არის ის დოკუმენტი, რომელსაც ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი სჭირდება დემოკრატიულ ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანას კი აქვს დემოკრატიული ქვეყნის პრეტენზია, ეს კი გარკვეულ ვალდებულებებსაც გულისხმობს.

ამიტომაც სწორია ირაკლი კობახიძის განცხადება, მართალია, დაგვიანებული, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, რომ არსებობს მზაობა ოპოზიციასთან მოლაპარაკების და შეთანხმების საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შსს ბორდელებს დაერია

14 ივლისს დაანონსებული ქართველთა მარში თბილისში არსებული ბორდელების წინააღმდეგაც იყო მიმართული. ამ დაწესებულებებთან დაკავშირებით პრემიერმაც ისაუბრა რამდენიმე თვის წინ. გიორგი კვირიკაშვილმა აღშფოთება და ჭმუნვა გამოთქვა იმის გამო, რომ ამ დაწესებულებებში ქართველ მამაკაცებს არ უშვებდნენ.

ერს ეგონა, რომ მთავრობის სხდომაზე გაკეთებული ამ განცხადების შემდეგ, სამართალდამცავები ოქრუაშვილის სტილში ააწიოკებდნენ ბორდელებს. ოქრუაშვილმა მსგავსი დაწესებულებები 2003 წლის ბოლოს დაარბია.

მოლოდინი ამაო გამოდგა, შსს-მ ბორდელების შემუსვრისგან თავი შეიკავა. ამ დაწესებულებებისთვის ძალოვნებმა მხოლოდ ამ დღეებში მოიცალეს.





**შორენა მარსაგიშვილი**

პირველი ინფორმაცია ბორდელების შემუსვრის შესახებ ქართველთა მარშის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სანდრო ბრეგაძემ გაავრცელა.

— მე მომაწოდეს ინფორმაცია, რომ რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე შსს-მ ღამის კლუბებში რეიდების ჩატარება დაიწყო. ეს ჩვენი მარშის დამსახურებაა. პირველ გამარჯვებას მარშის გამართვამდე მივაღწიეთ, — განუცხადა „ახალ თაობას“ ბრეგაძემ.

მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომაც დაადასტურა.

შსს-ს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რეიდისას გადამოწმებისა და პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში გადაიყვანეს 91 სექსმუშაკი ქალი და 56 მამაკაცი, საიდანაც 61 უცხო ქვეყნის მოქალაქეა, დანარჩენი კი — ქართველი.

— პროსტიტუციისა და სხვა დანაშაულების გამოვლენის, ალკვეთისა და პრევენციის მიზნით, შს სამინისტრომ განახორციელა რიგი ღონისძიებები, რომლის ფარგლებში, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, 2017 წლის 30 ივნისიდან, 4 ივლისის ჩათვლით, ჩატარებული პრევენციული მოქმედებების შედეგად, თბილისში, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ბარიდან პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში გადამოწმებისა და პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით მიიყვანეს: 71 ქართველი და 20 უცხოელი სექსმუშაკი ქალი (სულ — 91 პირი); ასევე, 56 მამაკაცი, მათ შორის, 15 — ქართველი და 41 უცხოეთის მოქალაქე.

მიმდინარე წლის 30 ივნისს, ამავე ღონისძიების დროს, სამართალდამცველებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლის (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს, რომლებიც წარდგენილნი არიან სასამართლოში. აღნიშნული პრევენციული ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება, — აცხადებენ შს სამინისტროში.

ამ რეიდების ჩატარების გამო სანდრო ბრეგაძე შსს-ს მადლობას უხდის. ის ვარაუდობს, რომ ასეთი რეიდები ამ დღეებში კიდევ განხორციელდება.

— შსს-ს მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. იმედი მაქვს, რომ ასეთი რეიდები ბათუმშიც მოეწყობა. ამ მიმართულებით რეიდები ბევრ ქალაქშია ჩასატარებელი. თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ეს ჩვენი მარშის დამსახურებაა, კმაყოფილებიც ვართ შსს-ს ქმედებით, მაგრამ 14 ივლისს ქართველთა მარში მაინც გაიმართება, — აღნიშნავს ბრეგაძე.

ის იმედოვნებს, რომ სამართალდამცავები უკანონო მიგრანტების მიმართაც მეტ ყურადღებას გამოიჩენენ. მისი აზრით, არ შეიძლება ყველა მსურველს ბინადრობის მოწმობა მიეცეს.

მისგან და მისი თანამოაზრეებისგან განსხვავებით, ქართველთა მარშს ბევრი უყურებს უარყოფითად. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ ამ მსვლელობას რუსეთი აფინანსებს.

ქართველთა მარშის წინ რუსებმა კიდევ ერთხელ გადმოსწიეს ე.წ. საზღვარი. „ახალი თაობის“ კითხვაზე, მოეწყობა თუ არა ქართველთა მარში ოკუპანტების წინააღმდეგ, სანდრო ბრეგაძე ასე პასუხობს:

— როგორ შეიძლება ამ ქვეყნის მოქალაქე იყო და არ გაწუხებდეს ეს პრობლემა. კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება ძალიან მძიმეა. რუსეთი ოკუპანტია და ჩვენი მიწების მითვისებას განაგრძობს. ამის გარდა, ისინი საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ.

რუსეთის ქმედებებს ვგმობდი და ახლაც ვგმობ. ხშირად მიფიქრია, რა ფორმით შეიძლება ეს გაგვეპროტესტებინა. შესაძლოა, კონფლიქტის ზონის სიახლოვეს რაღაც აქციაც გავმართოთ.

ბრეგაძე ამბობს, რომ აქციას აქამდეც გამართავდნენ, მაგრამ ერთი რამე აფერხებთ. ეს ერთი რამე კი რუსეთის რეაქციაა.

## სანდრო ბრეგაძე: „პირველ გამარჯვებას ქართველთა მარშის მოწყობამდე მივაღწიეთ“

— არაა პრობლემა, იქაც მოვაწყობდი ქართველთა მარშს, მაგრამ ამას შესაძლოა სერიოზული პრობლემები მოჰყვეს. რუსები ამ უკანონობას შესაძლოა იმიტომ სჩადიან, რომ ჩვენი პროვოკაციაზე წამოგება სურთ. მხოლოდ ამის გამო ვიკავებთ თავს, — ამბობს „ეროვნულების“ ლიდერი.

მისი თქმით, რუსული ოკუპაცია ყველამ უნდა გააპროტესტოს. ოკუპაციის შეჩერებაზე კი ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს.

— ეს არის ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობა. ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა მუშაობდეს. ოკუპაციას ზურაბ აბაშიძე უნდა გმობდეს. კარასინთან შეხვედრისას კონიაკს კი არ უნდა სვამდეს, არამედ ამაზე უნდა ილაპარაკოს, — ასეთია ბრეგაძის პოზიცია.

❖ ❖ ❖

16 ივლისს ქართველთა მარში ბათუმში გაიმართება. ორივეგან წესრიგის დაცვას საკუთარ თავზე შსს იღებს.

# ირაკლი კობახიძე: „ჩვენ გავითვალისწინეთ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია“

— ჩვენი მთავარი მიზანი იყო ისეთი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც ხელს შეგვიშლის ავტოკრატიის დამყარებაში და ეს ახალი პროექტი იძლევა ამის საუკეთესო საშუალებას. ეს არის ძალიან დემოკრატიული კონსტიტუცია, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დღეს, სტრასბურში განაცხადა, სადაც ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის წევრებს საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმა გააცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პარლამენტიდან აცნობეს, ირაკლი კობახიძემ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოქმედი კონსტიტუცია, რომელსაც ბევრი ხარვეზი აქვს, ძალიან დემოკრატიული კონსტიტუციით ჩანაცვლდება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მმართველმა გუნდმა ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

— ჩვენ თავიდანვე გავაკეთეთ ამბიციური განაცხადი ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობის შესახებ და განვაცხადეთ, რომ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციას გავითვალისწინებდით. ვენეციის კომისიის პლენარული სხდომა კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მოსმენით განხილვამდე მცირე ხნით ადრე გაიმართა. ჩვენ გავითვალისწინეთ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია, რამდენიმე უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, რომლებიც ძირითადად, ქართულ თავისებურებებთანაა დაკავშირებული და ტერიტორიულ საკითხებს ეხება. ასე რომ, ვენეციის კომისიის ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაცია აისახა დოკუმენტში, რომელიც უკვე ორი მოსმენითაა მიღებული, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, კონსტიტუციური კანონის პროექტს მესამე მოსმენით საქართველოს პარლამენტი, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს განიხილავს.

ირაკლი კობახიძემ ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითად არსზეც და აღნიშნა, რომ დოკუმენტის თითოეულ მუხლში დემოკრატიული სტანდარტები მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

— დოკუმენტი, სრულ შესაბამისობაშია სამართლებრივ პრინციპებთან, კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და ურთიერთგაწონასწორებისა და კონტროლის მექანიზმთან, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

# „1-ელი ივლისიდან უძრავი ქონება 10%-ით გაძვირდა“

1-ელი ივლისიდან ქონების გაყიდვისა და მომსახურების შეთავაზება-რეკლამირების ფასი სავალდებულო გახდა.

როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ უძრავი ქონების სააგენტო კიბე.გე-ს დამფუძნებელმა ნელი გოგუაძემ განუცხადა, ამ ცვლილებამ უკვე გამოიწვია ბინების 10%-ით გაძვირება.

მისი თქმით, განმცხადებელთა უმრავლესობა ბინების ფასს 2.5 კურსით აფიქსირებს.



— განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ არის, მაგრამ მოქალაქეებს ცვლილებებთან შესაგუებლად გარკვეული დრო, შესაძლოა, 3-6 თვეც დასჭირდეთ. რამდენიმე დღეა, რაც ახალი წესი ამოქმედდა და ყველას ვეუბნებით, რომ ფასის მითითება ლარში უნდა მოხდეს. არის კატეგორია, რომელიც ლირებულების მითითებაზე საერთოდ უარს ამბობს. აღსანიშნავია, ქონების ფასის ლარში დაფიქსირების გამო, უკვე შეინიშნება გაყიდვების შემცირებაც. მაგალითად, ერთ-ერთი ბინის შემთხვევაში, რომელიც მყიდველს 81.400 ლარი დავუფასეთ, მყიდველმა უკან დაიხია. თუმცა, როდესაც განვუმარტეთ, რომ ეს 40.000 დოლარიც არ იყო, უფრო მარტივად მიიღო ეს ამბავი, — აღნიშნავს ნელი გოგუაძე.

განცხადებების პორტალის საქმე.გე-ს რედაქტორის ლელა არაბულის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ 1-ელი ივლისიდან შესული განცხადებების 70%-ში ფასი ლარშია დაფიქსირებული, მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ გაურკვეველია და ეიფორიაც შეინიშნება.

უძრავ ქონებაზე ფასების ხელოვნურ ზრდაზე საუბრობენ უძრავი ქონების სააგენტო MY-CLIENT.GE-შიც. კომპანიის ცნობით, იმის გამო, 1-ელი ივლისიდან ქონების ფასის ლარში მითითება სავალდებულო გახდა, ბინის მფლობელები სავალუტო კურსის ცვლილებებისგან თავის დასაცავად ხელოვნურად ზრდიან უძრავი ქონების სარეალიზაციო ფასს.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსის გვანცა გუჯელაშვილის ცნობით, ბინის მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობის დარეგულირებას ბინის რეალური ფასის განთავსებასთან დაკავშირებით და ზოგადად, კანონთან შეგუებაში თვეები დასჭირდება.

ფასის ლარში მითითების ვალდებულება 1-ელი ივლისიდან საქართველოს ტერიტორიაზე ყველა მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს დაეკისრა. ხოლო იმ პირზე, რომელიც მეწარმე სუბიექტი არ არის, ეს ვალდებულება არ გავრცელდა. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება როგორც უძრავ, ისე მოძრავ ქონებაზე. რაც შეეხება ამ წესის დარღვევის ადმინისტრირებას, ამას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განახორციელებს. პირველი დარღვევისას მეწარმეს გააფრთხილებენ, განმეორებით დარღვევას მოჰყვება 1.000-ლარიანი ჯარიმა, ყოველი მომდევნო დარღვევისას კი ჯარიმა 5.000 ლარი გახდება.

# მოზიდული პრემიების მიხედვით, საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარებადი ქვეყნების ბოლო რიგებშია

## სავალდებულო დაზღვევა — სადაზღვევო კულტურის ამაღლების გარანტი თუ დამატებითი გადასახადი მოქალაქეებისთვის

დაზღვევა რისკების მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება. მექანიზმი კი არის შემდეგი: მრავალ ადამიანს პერიოდულად შეაქვს თანხა საერთო ფონდში, საიდანაც კონტრაქტის პირობების თანახმად, კომპენსაციას ღებულობენ მხოლოდ დაზარალებული სუბიექტები. დაზღვევა წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული საერთო რისკების მქონე ინდივიდების ერთგვარ შეთანხმებას, რომ გაჭირვების ჟამს ერთმანეთს დაეხმარონ, ხოლო მათი კავშირის მაორგანიზებელი კომპანია ამაში ცალკე მოგებას იღებს.

ეს მექანიზმი განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სადაზღვევო სექტორის მიერ მოზიდული პრემია მთლიანი შიდა პროდუქტის 8,15%-ია, განვითარებად ქვეყნებში კი 2,71%. რაც შეეხება საქართველოს, ამ მიმართულებით საკმაოდ მძიმე სურათია. კერძოდ, 2016 წელს სადაზღვევო კომპანიების მოზიდული საერთო პრემია, რომელიც არის 393 მილიონი ლარი, მთლიანი შიდა პროდუქტის 1,16%-ია. ანუ განვითარებადი ქვეყნების ბოლო რიგებში ვდგავართ.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის მძიმე სოციალური ფონი და მოსახლეობაში დაზღვევის კულტურის არქონა. კულტურის არქონის ნათელი მაგალითია სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული გლეხების სახელმწიფოსადმი მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რაც ხან კმაყოფილდება, ხან — არა. შორს რომ არ წავიდეთ, რამდენიმე თვის წინ „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული მეწარმეები ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფოსგან მოითხოვდნენ. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზიანი მიადგა მხოლოდ მათ ბიზნესს და მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს ოქროს ბიზნესთან, რომელიც საკმაოდ დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, მათ უმეტესობას დაზღვეული არ ჰქონდა თავიანთი საქმიანობა. ეს ყველაფერი დაზღვევის კულტურის არქონაზე მიუთითებს და მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის განცდა, რომ მისი პატრონი სახელმწიფოა და მისი ბიზნესიც სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს.

### საქართველოს სადაზღვევო სექტორი ციფრებში

მიუხედავად ამ არასახარბიელო მდგომარეობისა, სადაზღვევო სექტორი ვითარდება. თუ გადავხედავთ ბოლო სამი წლის მონაცემებს, სადაზღვევო კომპანიების მოზიდული პრემია წლიდან წლამდე საშუალოდ 14%-ით იზრდება. თუ 2014 წელს ჯამურმა მოზიდულმა პრემიამ 302 მილიონი ლარი შეადგინა, 2016 წელს ეს რიცხვი 393 მილიონ ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება აქტივებს, იგი 2015 წელთან შედარებით 4%-ით გაიზარდა, ხოლო კაპიტალი — 36%-ით. სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ალეკო ელისაშვილი და გიორგი ვაშაძე თბილისის მერობისთვის იბრძოლებენ

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის მერობისთვის მებრძოლთა რაოდენობა 5-მდე გაიზარდა. ელენე ხოშტარიას, ზაალ უდუმაშვილსა და კახა კალაძეს გუშინ, 5 ივლისს, ალეკო ელისაშვილი და გიორგი ვაშაძეც შეემატნენ.

ალეკო ელისაშვილი თბილისის მერობისთვის რომ აპირებდა ბრძოლას, ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ გასულ წელს გავრცელდა. რამდენიმე თვის წინ მის ჯერაც დაუსახელებელ კანდიდატურას ოფიციალურად გამოუცხადეს მხარდაჭერა რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა.

ელისაშვილმა გუშინ, 5 ივლისს, ოფიციალურად განაცხადა, რომ თბილისის მერობის კანდიდატი იქნება. საარჩევნო კამპანიაში ის დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით ჩაერთვება. მერობის კანდიდატად კი საინიციატივო ჯგუფი წარადგენს.

— ვინმე თუ კარგად დაფიქრდება, მიხვდება, ვინ არის ჩემი გუნდიც და ჩემი მხარდამჭერებიც. იმიტომ, რომ წლების განმავლობაში მე ვარ თბილისის პრობლემებში ჩართული და წლების განმავლობაში სათითაოდ ვიცნობ და ვმეგობრობ ისეთ ადამიანთან, რომელსაც უნდა ამ ქალაქში რაღაცების შეცვლა, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.





„ახალი საქართველო“ რამდენიმე თვის წინ გამოვიდა ინიციატივით, რომ ოპოზიცია ამ არჩევნებზე ერთიანი კანდიდატით გამოსულიყო. ამ საკითხზე შეთანხმება ვერ შედგა, ამიტომაც „ახალი საქართველოს“ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურით წარდგება.

მისი კანდიდატი პარტიის ლიდერი გიორგი ვაშაძე იქნება. ვაშაძეს თბილისის მერობისთვის ბრძოლა ნაციონალებში ყოფნის დროსაც უნდოდა. მისი კანდიდატურა სერიოზულად განიხილებოდა, მაგრამ ყოფილმა ხელისუფლებამ მაშინ არჩევანი ნიკა მელიაზე შეაჩერა.

ჟურნალისტებთან საუბარში ვაშაძემ განაცხადა, რომ „ახალი საქართველოს“ მერობის კანდიდატი თავად იქნება.

მართალია, არჩევნებში მონაწილეობა მყარად აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ საბოლოო პასუხს დისკუსიების შემდეგ მიიღებს.

— პარტიაში ამ თემაზე დისკუსიები ისევ მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, — ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში ვაშაძე.

ამ ეტაპზე დაკონკრეტებით მას იმის თქმა შეუძლია, რომ კანდიდატურა არჩევნებამდე 2 თვით ადრე იქნება წარდგენილი.

თბილისის მერობისთვის კანდიდატის შერჩევის პროცესში არიან სხვა ოპოზიციური პარტიები. როგორც ამბობენ, კანდიდატურა უკვე შერჩეული ჰყავს პატრიოტთა ალიანსს.

თავისი კანდიდატურა ეყოლება დემოკრატიულ მოძრაობასაც. პარტიის სახელით მერობისთვის დიმიტრი ლორთქიფანიძე იბრძოლებს. 2014 წელს ლორთქიფანიძემ ერთხელ უკვე იბრძოლა. მაშინ მან მესამე ადგილი დაიკავა.

არაა გამორიცხული, თბილისისთვის დავით უსუფაშვილისა და ეროვნული ფორუმის ნაზავმაც იბრძოლოს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მერობის კანდიდატი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე იქნება.

# სიმონ ნოზაძე: „პარლამენტის დატოვება არც მიფიქრია“

შორენა მარსაგიშვილი

## ვინ და რატომ უვრცელებს ჭორებს ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს

5 ივლისს რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხაშურის მაჟორიტარი პარლამენტის დატოვებას აპირებს. ერთ-ერთი ვერსიით, დეპუტატის მანდატის დატოვებას იმიტომ აპირებს, რომ ამომრჩეველს დანაპირები ვერ შეუსრულა.

ვისთან ერთად აპირებენ მრეწველები გაერთიანებას, ვინ გაუვრცელა ხმები პარლამენტიდან წასვლის შესახებ? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე ესაუბრება.

***— ბატონო სიმონ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ დეპუტატის მანდატზე უარს ამბობთ. მართლა მიდიხართ პარლამენტიდან?***

— არსად არ მივდივარ, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. ვიღაცამ ტყუილი ინფორმაცია გაავრცელა.

***— ასეთ ინფორმაციებს, როგორც წესი, რაღაც საფუძველი აქვს. თქვენს შემთხვევაში უსაფუძვლოდ გავრცელდა ინფორმაცია?***

— შესაძლოა, საფუძველი ისაა, რომ ვიღაცას ძალიან უნდა, რომ მე პარლამენტი დავტოვო. ვისგან გავრცელდა ეს ინფორმაცია, არ ვიცი. ჩემს მშობლიურ რაიონში, ხაშურში, ასეთი ჭორი ვერ გავრცელდებოდა.

***— რატომ ვერ გავრცელდებოდა ხაშურში ასეთი ჭორი?***



— 4 ივლისს ვიყავი ხაშურში და ჩემს ამომრჩეველს შევხვდი. მათ რაღაც-რაღაცები დამავალეს. ახლა ვცდილობ, მათი დავალებები რაღაცნაირად შევასრულო.

***— თქვენ პარლამენტში შეხვედით როგორც ერთადერთი ოპოზიციონერი მაჟორიტარი, მაგრამ ძალიან მალე გახდით უმრავლესობის წევრი. ისევ უმრავლესობაში ხართ თუ შეიცვალა რამე?***

— არაფერი აღარ შეცვლილა. პარლამენტში შევედი, როგორც მრეწველი. გავწევრიანდი უმრავლესობაში, როგორც მრეწველი. ახლო წარსულში მრეწველები და „ოცნება“ ისედაც ერთ საარჩევნო ბლოკში იყვნენ.

***— ცოტა ხნის წინ მრეწველებმა განაცხადეს, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. ვინმესთან გაერთიანდებით თუ დამოუკიდებლად მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?***

— ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ. ვისთან და როგორ იქნება, ეს ამბავი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. საკითხი პოლიტსაბჭოზე გადაწყდება. რამდენიმე დღის წინ ამ საკითხზე პარტიის ლიდერს, ზურაბ ტყემალაძეს ვესაუბრე. არ არის გამორიცხული, ვინმესთან ერთად გამოვიდეთ.

***— ეს ვინმე „ქართული ოცნება“ ხომ არ იქნება? რაკი თქვენც უმრავლესობაში ხართ, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს.***

— სავარაუდოდ, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად გამოვალთ არჩევნებზე. ჩვენი პარტია ეკონომიკის ფილოსოფიით ძალიან ახლოს დგას ხელისუფლებასთან. ამის გარდა, „ოცნებას“ ბევრ რამეში ვეთანხმებით. ძალიან ნორმალური იქნება, თუ მათ პლატფორმას გავიზიარებთ.

ამ საკითხზე გადაწყვეტილება თავად „ოცნებამაც“ უნდა მიიღოს. ისინიც იმსჯელებენ და მერე გაირკვევა ყველაფერი.

***— ისევ თქვენთან დაკავშირებით გავრცელებულ ჭორს დავუბრუნდები. თქვენ წლების მანძილზე სპეცსამსახურებში მუშაობდით და ალღოთი მაინც მიხვდებოდით, ვინ გაგივრცელათ ეს ინფორმაცია.***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. იმის თქმაც მიჭირს, რა მიზნით არის ეს ინფორმაცია გავრცელებული. არასერიოზული ხალხი ამას არ გააჟღერებდა. მოსახლეობის დაბნევა თუ უნდათ, არ გამოუვათ. აგერ ვაცხადებ, რომ ვადის ამოწურვამდე პარლამენტიდან არსად არ მივდივარ.

წასვლის უფლება არც მაქვს, ძალიან ბევრი საინტერესო საქმე მაქვს დაწყებული. მათ შორის არის თემურ ლენგის მიერ გატანილი ქართული არქივების მოძიება. ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ერთხელ უკვე ვიყავით უზბეკეთში.

***— რამეს მიაგენით?***

— რაღაცები გამოჩნდა. ამ ზაფხულს წავა ექსპედიცია და იმედი გვაქვს, რომ მათი ჩასვლა შედეგიანი იქნება. ამ არქივების მოძიება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება. ამ საქმეში ძალიან მეხმარებიან ჩემი მეგობარი ბიზნესმენები. ექსპედიციას ისინი აფინანსებენ.

# გოჩა კოკაია: „სუსი ასრულებს კალაძის კლანის დაკვეთას“

## რა ვერ იპოვეს ნაციონალების კანდიდატის ბინის ჩხრეკისას

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოჩა კოკაიას სახლში სამართალდამცველებმა ჩხრეკა დაასრულეს. ბინაში საეჭვო არაფერი აღმოჩნდა. კოკაია აცხადებს, რომ სუს-ის წარმომადგენლები მან რამდენჯერმე შენიშნა საკუთარ საცხოვრებელ სახლთან. კოკაია მიიჩნევს, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა, რომელიც, მისი თქმით, ,,კალაძის მაფიოზური კლანების პოლიტიკური დაკვეთაა“.

— უშიშროების მანქანები ჩემი სახლის ეზოში ძალიან ბევრჯერ შევნიშნე, უშიშროების სამსახურიც მომყვებოდა უკან და იმის შემდეგ ვაკვირდები, რომ ყველანაირად ცდილობენ ჩემი პოლიტიკური დევნა მოახდინონ, — განაცხადა გოჩა კოკაიამ.

დეპუტატი მომხდართან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ვრცელ პოსტს აქვეყნებს:



— დღეს ქართული ოცნების აქტივისტის აბსოლუტურად ცრუ ჩვენების და უსაფუძვლო ბრალდებების საფუძველზე სუსმა განახორციელა ჩემი პირადი და საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა. ნაციონალური მოძრაობის სახელით მე კენჭს ვიყრი თბილისის საკრებულოში. სწორედ ჩემი წარდგენის შემდეგ 27 ივნისს ჩემს მიმართ სპეცსამსახურების მიერ დაიწყო ფარული თვალთვალი.

აშკარაა, სუსი ასრულებს კალაძის მაფიოზური კლანების პოლიტიკურ დაკვეთას. დღევანდელი ფაქტი არის შანტაჟის და ზეწოლის მცდელობის მკაფიო მაგალითი. ქართული ოცნება კარგად ხვდება, რომ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ და ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთ გზად არჩევნების გაყალბება და ოპონენტების დევნა დარჩა.

მინდა მკაფიოდ განვაცხადო, ასეთი მოქმედებით ვერ შემაჩერებენ. მეტიც, მე კიდევ უფრო აქტიურად ვაგრძელებ ბრძოლას ჩემი გლდანელების ინტერესების დასაცავად და მათი პრობლემების გადასაჭრელად, იმ პრობლემების, რომელიც ხელისუფლებას საერთოდ არ ახსოვს. და ეს ბრძოლა აუცილებლად დასრულდება გამარჯვებით.

❖ ❖ ❖

გავრცელებული ინფორმაციით, კოკაიას სახლში ჩხრეკა ყალბი დოკუმენტის აღმოჩენის მიზნით მიმდინარეობდა, რომელიც, მოქალაქე თამაზ ინალიშვილის ჩვენების თანახმად, მან წვევამდელს გაუმზადა.

ადვოკატი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრი, გიორგი ონიანი აცხადებს, რომ გოჩა კოკაიას ხელს „ქართული ოცნების“ აქტივისტი ადებს და ედავება, რომ „ენმ“-ის წევრმა მას სამხედრო სამსახურის გადავადების საბუთები გაუკეთა.

— საერთოდ შემხებლობა არ ჰქონდა იმ დოკუმენტთან, რომელზეც საუბარი არის. არათუ იმ სამსახურს, მთლიანობაში არ შეეძლო, არ ჰქონდა არანაირი ბერკეტი იმისა, რომ ასეთი სახის საბუთი გაეცა. მობრძანდნენ, გაჩხრიკეს მთელი ბინა, გაჩხრიკეს თვითონ გოჩა კოკაია, ვერანაირი ბლანკი, დოკუმენტი, ვერანაირი ბეჭედი, რომელიც რაიმე სახით დაადასტურებდა ბატონ გოჩას ამ საქმესთან კავშირს, ვერ მოიძიეს, — განაცხადა გიორგი ონიანმა.

ნიუპოსტი

# შსს ევაკუატორიდან მანქანის ჩამოვარდნის ფაქტს უარყოფს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ევაკუატორიდან მანქანის ჩამოვარდნის ფაქტს უარყოფს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, აბაშიძის ქუჩაზე გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც მანქანა არის ამობრუნებული, ავტოსაგზაო შემთხვევას ასახავს. უწყების ინფორმაციით, აბაშიძის ქუჩაზე მოძრავი ავტომანქანა გაჩერებულ მანქანას დაეჯახა, რის შემდეგაც ამობრუნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შსს-ს ცნობით, ფოტოსურათზე აღბეჭდილი ევაკუატორი ამობრუნებული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანას ცდილობს, ხოლო ინფორმაცია, რომ ავტომანქანა გადაყვანისას ჩამოვარდა, მცდარია.

ფოტო სოციალურ ქსელში მომხმარებელმა გაავრცელა.

# თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე დაკარგული 19 წლის გივი მჭედლიშვილი საქართველოს ტერიტორიაზეა

ხუთი დღის წინ თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე დაკარგული 19 წლის გივი მჭედლიშვილი საქართველოს ტერიტორიაზეა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მჭედლიშვილის დედამ, ინგა მოდებაძემ განუცხადა, მისმა შვილმა საქართველოს საზღვარი საათნახევრის წინ გადმოკვეთა. დედა სხვა დამატებით ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ფლობს.

ინგა მოდებაძის თქმით, მისთვის უცნობია, თუ რით გადაადგილდება გივი მჭედლიშვილი საქართველოს ტერიტორიაზე, რის გამოც შესაბამის უწყებებს დახმარებას სთხოვს.

— არ ვიცი, საბაჟოდან რით მიდის თბილისში. ვიცი, რომ საქართველოს ტერიტორიაზეა, თუმცა, არ გვაქვს სხვა ინფორმაცია, რომ მას დავხვდეთ. საქართველოს საზღვარი გადაკვეთილი აქვს საათნახევრის წინ, თურქეთის კონსულმა მითხრა, რომ საბაჟომ არ იცის, თუ რით გადაადგილდება ჩემი შვილი საბაჟოდან. მობილური არ აქვს, ვერ ვახერხებთ დაკავშირებას. გთხოვთ დაგვეხმარეთ, — განაცხადა ინგა მოდებაძემ.

# დავით ლორთქიფანიძე: „არ ვიცი, რატომ არ მივიდა ბიძინა ივანიშვილი კალაძის პრეზენტაციაზე“

გულიკო ბალაძე

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის მე-8 მოწვევის დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ თბილისში ნაცმოძრაობაზე გაბრაზებული ხალხი უფრო ბევრია, ვიდრე „ოცნებაზე“ გაბრაზებული და ამიტომ „ოცნების“ კანდიდატს გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

***– როგორ აფასებთ თბილისის მერად კახი კალაძის კანდიდატურას?***

– კალაძე წამოაყენა პარტიის პოლიტსაბჭომ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თვითონ კალაძესაც აქვს ზურგი. კახი არის რეალური კანდიდატი და მას გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

***– მისი კონკურენტები არ არიან მძიმეწონიანები?***

– დღევანდელი მონაცემებით, კიდევ ორი კანდიდატია დასახელებული. „ევროპული საქართველოდან“ ხოშტარია და ნაცმოძრაობიდან უდუმაშვილი. ისინი, რეალურად, ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებია. მათ არ აქვთ ის პოლიტიკური წონა, რომ კახი კალაძეს სერიოზული კონკურენცია გაუწიონ თბილისის მერის არჩევნებში. ისინი გამოიყენებენ არჩევნებისთვის დამახასიათებელ ყველა მეთოდს, წინასაარჩევნო აგიტაციას, შეხვედრებს, სატელევიზიო დროს და თავის პატარა ამბიციას დაიკმაყოფილებენ, ეს არის და ეს.

***– ნაცმოძრაობის კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის არის გაბრაზებული ხალხის გაბრაზებული მერობის კანდიდატი. ამომრჩევლებში სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება უკმაყოფილო ადამიანები იყვნენ. გამორიცხავთ, რომ იმდენი ადამიანია გაბრაზებული, რომ მათ თბილისის მერის არჩევნებში ნაცმოძრაობის კანდიდატს გაამარჯვებინონ?***

– გამოვრიცხავ. ამ შემთხვევაში მე იუმორით ვხვდები უდუმაშვილის განცხადებას, რომ ის არის გაბრაზებული ხალხის გაბრაზებული მერობის კანდიდატი. საუბარია ნაცმოძრაობაზე გაბრაზებულ ხალხზე. მან თქვა, რომ ის არის გაბრაზებული ხალხის მერობის კანდიდატი. ეს გაბრაზებული ხალხი – ნაცმოძრაობის მიერ გამწარებული ადამიანები – არსად გადახვეწილა.

***– მგონი, უდუმაშვილმა „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული თბილისელების კანდიდატად გამოაცხადა თავი.***

– მე იუმორით დავეთანხმები, რომ ის არის გაბრაზებული თბილისელების მერობის კანდიდატი, ანუ ნაცმოძრაობაზე და „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული ადამიანების მერობის კანდიდატი. რა თქმა უნდა, მან ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული ადამიანებიც იგულისხმა. ასეთი ადამიანებიც არიან, სამწუხაროდ, მაგრამ იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ნაცმოძრაობაზეა გაბრაზებული და გამწარებული, შეუდარებლად მეტია. უდუმაშვილი მათი კანდიდატიც არის და ისინი „პატივს მიაგებენ“ ნაცმოძრაობის კანდიდატს.

***– რადგან ბიძინა ივანიშვილი არ მონაწილეობს წინასაარჩევნო კამპანიაში, „ოცნების“ კანდიდატს გამარჯვება არ გაუჭირდება?***

– ბიძინა ივანიშვილის როლის ნიველირება (მე არ ვიტყვი მისი როლის იგნორირებას და გაქრობას) ამომრჩეველში აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რადგან „ქართული ოცნება“ ასოცირდება ბატონ ბიძინა ივანიშვილთან 2011 წლის ოქტომბრის განცხადებიდან მოყოლებული. ბიძინა ივანიშვილი დღეს პრეზენტაციაზე მივა თუ არა, ეს ამომრჩევლისთვის გადამწყვეტი არ იქნება.

ის ადამიანები, ვისაც არ უნდათ ძველ ჭაობში დაბრუნება (სადაც ძალადობა, უსამართლობა, სადიზმი ხელისუფლების პირდაპირი მახასიათებელი იყო და ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით დაიძლია), ხმას „ოცნებას“ მისცემენ. ვინც 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა და დღემდე მოიყვანა, ის ბიძინა ივანიშვილის როლის გათვალისწინებით, „ქართულ ოცნებას“ კიდევ დაუჭერს მხარს.

***– რატომ ხართ დარწმუნებული?***

– 2016 წელს დადასტურდა, რომ ხალხი ამ კურსს უჭერს მხარს. ისინი ისევ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერენ მხარს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით., რაც იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, შეიძლება გადამწყვეტიც კი.





***– ანუ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ისევ მოქმედებს?***

– დიახ, მაგრამ რომ ვთქვათ, მხოლოდ ბატონ ბიძინას ფაქტორის გამო დაუჭერენ მხარს „ოცნებასო“, ასე არ არის. სხვა ფაქტორებიცაა, 2012 წლიდან 2017 წლამდე ვითარება უკეთესობისკენ შემოტრიალდა. ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერები ისევ ეყოლება.

***– რატომ არ გამოჩნდა ბატონი ივანიშვილი კალაძის წარდგენაზე? ფიქრობს, რომ მისი შექმნილი პოლიტიკური ძალა ისე გაძლიერდა, მის გარეშეც გაართმევს თავს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს?***

– არ ვიცი, ბატონი ბიძინა რატომ არ მოვიდა შეხვედრაზე. თუ თქვენ მოახერხებთ და მასთან ინტერვიუს ჩაწერთ, უკეთესი იქნება, მას ჰკითხოთ. ალბათ, ბატონმა ბიძინამ არ ჩათვალა საჭიროდ ამ პრეზენტაციაზე დასწრება. ყველამ ვიცით, რომ ბატონი ბიძინა მისი საჯაროობის მოსურნე არ არის. მან ჯერ კიდევ 2012 წელს განაცხადა, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საჯარო სივრციდან გასვლას აპირებდა, რაც გააკეთა კიდეც. ამიტომ ნუ მოიგონებენ და ბიძინა ივანიშვილის პრეზენტაციაზე არდასწრებას ნუ დააკავშირებენ რაღაც ნეგატიურთან.

***– სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის პრეზენტაციაზე მიუსვლელობას ჯანმრთელობის მდგომარეობასაც მიაწერენ.***

– ბატონ ბიძინას ჯანმრთელობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

***– ანუ ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაცია გაქვთ?***

– თქვენ იცით, რომ არ მჩვევია ტყუილის თქმა. ამ წუთისთვის შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მის ჯანმრთელობას არანაირი პრობლემა არ აქვს. ბიძინა ივანიშვილის პრეზენტაციაზე არყოფნა მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული არ არის. სადაც საუბარია არჩევნებთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის ფაქტორზე, „ქართული ოცნების“ ფაქტორზე, ეს ყველაფერი არის კარგი, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ძალიან სპეციფიკური არჩევნებია და კანდიდატები ყურადღებით უნდა შეირჩეს.

***– რას გულისხმობთ?***

– დღეს მოსახლეობა თავის არჩევანში აბსოლუტურად თავისუფალია. ახლა არ მაქვს საფუძველი, განგაშის ზარები შემოვკრა, მაგრამ თუ ისეთი კანდიდატები იქნება შერჩეული, რომლებიც არ იმსახურებენ „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვებას, გარწმუნებთ, ეს გარკვეულ უხერხულობას შექმნის. ამიტომ სერიოზული გადაწყვეტილებები იქნება მისაღები. მათ შორის, თბილისის საკრებულოსთან დაკავშირებით.

***– რაზე საუბრობთ?***

– 2012 წელს დადგა მოცემულობა, რომელიც დაკავშირებული იყო ობიექტურ ფაქტორებთან – შენარჩუნებული იქნა სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, საკრებულოებში იყვნენ ნაციონალების კანდიდატები, მათი გარკვეული კადრები საკრებულოებში, ზოგან ნაციონალების წინა თვითმმართველობის არჩევნების „საჩუქრები“, რაც ჩვენ კოაბიტაციის რეჟიმში გვაყენებდა. დღეს არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან კოაბიტაციაში ვიყოთ. ამის ვალდებულება არ გვაქვს.

რამდენიმე ათეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან მქონდა საუბრები მათი ინიციატივით. ადამიანებს უნდათ, მათ ოლქში რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს. ისინი ყველანაირად ცდილობენ, ლიდერებს ხმა მიაწვდინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გაუქრებათ სურვილი, კიდევ ერთ არჩევნებში ჩაერთონ და შედეგი დადონ.

***– თბილისის მართვა ადგილი არ არის. როგორი სტარტიდან იწყებდა ნარმანია მერობას და როგორი იქნება სტარტი ახლა კალაძისთვის, თუ ის მერი გახდება?***

– ნარმანიასთვის საწყისი ეტაპი იყო კატასტროფული, რადგან მას დახვდა უგულავას დროინდელი ქალაქი. მანამდე თბილისს ჰყავდა ატროფირებული ხელისუფლება. ნარმანიამ ბევრი რამ გააკეთა ამ ქალაქში, მაგრამ არ მომერიდება და ვიტყვი, რომ ჩვენ პიარი მაღალ დონეზე არ გვქონდა. ამის შესახებ ადრეც ვთქვი და საყვედურიც მივიღე, მაგრამ თუ არ ვცდები, ეს კახი კალაძემაც აღიარა. დავით ნარმანიამ ბევრი რამ გააკეთა, მას აქვს კარგი მენეჯერული თვისებები, მაგრამ ცუდი პიარის გამო, მას დაუმსახურებლად უტევენ.

***– ბატონო დავით, რამდენიმე დღის წინ ელიავას ბაზრობაზე გაჩნდა ცეცხლი. მანამდე იყო ბავშვთა სამყარო, ლილო, ბათუმის ბაზრობა, ზესტაფონის ბაზარი. რა ტენდენციასთან გვაქვს საქმე?***

– ძალიან მწყინს, რომ ადამიანებს, რომლებიც ოჯახებს ინახავდნენ, ქონება გაუნადგურდათ. ელიავას ბაზრობაზე გაჩენილი ცეცხლის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა მილიონნახევრამდეა. იმედი მაქვს, დაზარალებულებს სახელმწიფო სამსახურები მაქსიმალურად დაუდგებიან მხარში.

***– ვის აწყობს ბაზრობების დაწვა?***

– ბუნებრივია, არც ერთ ხელისუფლებას ამგვარი რამ არ აწყობს.

***– მაგრამ ზოგიერთი თქვენი ოპონენტი მისკენ იშვერს ხელს.***

– სამწუხაროდ, მათი პოლიტიკური წარსული საქმიანობიდან და გაკეთებული სიბინძურეებიდან გამომდინარე, დივერსიას არ გამოვრიცხავ. არ არის გამორიცხული, ბაზრობების დაწვა და ადამიანების გამწარება ვიღაცის ინტერესებში შედიოდეს. ამიტომ საჭიროა ძალიან კომპეტენტური და სერიოზული გამოძიება.

***– მათში ვის გულისხმობთ?***

– ხელისუფლების ოპონენტებს. მათი მხრიდან არ გამიკვირდება ამგვარი ქმედება. ყოველთვის, როცა ამას ვამბობ, თვალწინ მიდგას, ხურჩაში ავტობუსს ცეცხლი რომ გაუხსნეს და ქალები დაიჭრნენ. ეს იყო ჩვენი ოპონენტების მიერ ხელოვნურად მოწყობილი პროვოკაციული ქმედება. მათ მაშინ საკუთარი მოსახლეობა არ დაინდეს. საბოლოო ჯამში, ისინი ვერაფერს მოიგებენ, თუმცა, ხელისუფლებას მიაყენებენ დაუმსახურებელ დარტყმას.

# რუსეთი საქართველოში ახალ დასაყრდენს ეძებს?

## რას აკეთებენ მოსკოვში ჩასული ქართველი პოლიტიკოსები

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა რუსეთი საქართველოში აგრძელებს საოკუპაციო ხაზის გადმოწევას, ასევე მწვავე განცხადებებს საქართველოს პოლიტიკის თაობაზე და შემრიგებლურ მოწოდებებს კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, საქართველოში ახალი იდეები ჩნდება.

„ერეკლე მეორეს“ საზოგადოების თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე აპირებს, რუსეთის პრეზიდენტს კოლექტიური წერილი გაუგზავნოს.

„ტვ პირველთან“ საუბარში მან აღნიშნა, რომ პუტინს სავიზო რეჟიმის გაუქმების თხოვნით მიმართავს. მისივე აზრით, აუცილებელია დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ორ ქვეყანას შორის.

საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზების გაუქმებაზე ადრე თავად რუსეთის პრეზიდენტსაც უსაუბრია, თუმცა, ამას მოჰყვებოდა ხოლმე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპირისპირო განცხადებები.

დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პირობად ოფიციალურ თბილისს მიაჩნია მოსკოვის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების გაბათილება. რუსეთი ჯერჯერობით ამას არ აპირებს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციას უფრო აძლიერებს.

წესით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, კონფლიქტები, საოკუპაციო ხაზები და დევნილები უნდა იყოს ის საკითხები, რომელთა მოგვარება საქართველომ, დიალოგის შემთხვევაში, რუსეთს პირველ რიგში უნდა მოსთხოვოს.

როგორც ირკვევა, მოსკოვში ფარულად თუ დაუფარავად ჩასული ქართველი პოლიტიკოსები იქ ამ თემებს არც კი ახსენებენ. მათი მხრიდან განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა და პრინციპულობა არც საქართველოში შეინიშნება.

კრემლთან დაახლოებული პუბლიცისტი ავიგდორ ესკინი აღნიშნავს, რომ მოსკოვის მოლოდინი არ გაამართლეს იმ ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებზეც ფსონი იყო დადებული.

მისი შეფასებით, რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ელიტების ურთიერთობები უცნაური კანონზომიერებით ხასიათდება. ესაა რუსოფობიური რიტორიკის შეხამება მოსკოვიდან მხარდაჭერის მიღების სურვილთან.

იგი პარალელს ავლებს ახლო აღმოსავლეთთან, სადაც ზოგიერთი რეჟიმის წახალისება ცუდად მოუბრუნდა აშშ-ს. მაგალითად, ავღანელი ანტისაბჭოთა მოჯაჰედებისაგან ჩამოყალიბდა აშშ-თან დაპირისპირებული „ალ-ქაიდა“.

ესკინის თქმით, მოსკოვი ფსონს დებდა სხვადასხვა ასაკისა და აზროვნების ქართველ პოლიტიკოსებზე, მაგრამ მათგან არც ერთმა არ გაამართლა. ამ პოლიტიკოსებს აერთიანებთ პირადი ინტერესის საერთო ქართულ ინტერესებზე მაღლა დაყენება.

მისი ინფორმაციით, ერთი ძალიან აქტიური ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც „ზვიადისტური“ ფესვები აქვს, საპარლამენტო არჩევნების წელს მოსკოვში იმყოფებოდა. მას დაფინანსების იმედი ჰქონდა. თბილისში ის გაწბილებული ჩავიდა და



ფეისბუკის გვერდზე დაწერა, ჩვენ ბინძურ რუსულ ფულს არ ავიღებთო. ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ეს აქტივისტი კიდევ ერთხელ ჩასულიყო მოსკოვში ფულის სათხოვნელად.

ავტორის სიტყვებით, საქართველოში დაბრუნებული პოლიტიკოსები, როგორც წესი, იწყებენ რუსეთის განკითხვას და აფხაზეთი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ.

მოსკოვი შეცდა მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაშიც, რომელსაც აქტიურად მხარს უჭერდა, ასევე შეცდა ნინო ბურჯანაძის და განსაკუთრებით, „საქართველოს პატრიოტების“ შემთხვევაში.

ესკინის თქმით, „საქართველოს პატრიოტები“ ის პარტიაა, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებზე ძლივს გადალახა 5%-იანი ბარიერი. ამჯერად ოპოზიციაში ტონის მიმცემი არიან ნაციონალები, რომლებმაც „პატრიოტებზე“ ხუთჯერ მეტი ხმა მიიღეს. თუმცა, მათი დამოკიდებულება რუსეთთან დიალოგისადმი კიდევ უფრო სკეპტიკურია, ვიდრე მმართველი პარტია „ქართული ოცნებისა“.

მისი სიტყვებით, ჯობია, კრემლმა ითანამშრომლოს იმათთან, რომლებიც არ წამოეგებიან რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას და წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრაზე იზრუნებენ.

# საქართველო უქმე დღეების რაოდენობით ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია



**უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის შემოთავაზებული კანონპროექტით, უკრაინაში არსებული 11 უქმე დღის 9-მდე შემცირება იგეგმება. უქმდება 1-2 მაისი, 8 მარტის მაგივრად, 9 მარტს შევჩენკოს დღე აღინიშნება, 9 მაისის მაგივრად კი დაგეგმილია 8 მაისს ხსოვნისა და შერიგების დღის დაწესება, ხოლო სულთმოფენობის შემდგომი ორშაბათის მაგივრად, სექტემბერში ოჯახის დღე აღინიშნება. ამ ვითარებაში უკრაინულმა ინტერნეტ პორტალმა Bird in Flight-მა გამოაქვეყნა სტატისტიკა, თუ რამდენს ისვენებენ ევროპასა და მსოფლიოში. IDFI-მ საინტერესოდ ჩათვალა ამ სტატისტიკის ქართული კონტექსტისთვის მისადაგება, მით უმეტეს, საზოგადოებას ახსოვს სულ რამდენიმე თვის წინ გამართული დებატები, კიდევ ერთი უქმე დღის შემოღების თაობაზე.**

ევროპაში საშუალოდ წელიწადში 11 უქმე დღე აქვთ, ყველაზე მეტი – 15 უქმე დღე აქვს სლოვაკეთს, ხოლო ყველაზე ცოტა – 7 დღე ნიდერლანდების სამეფოს. მსოფლიოში ამ კუთხით ლიდერი კოლუმბიაა 18 უქმე დღით, ხოლო მექსიკაში მხოლოდ 7 დღეს ისვენებენ.

1-ელი იანვარი ყველა ევროპულ ქვეყანაში უქმე დღეა, ალბანეთში, მონტენეგროში, რუმინეთსა და სლოვენიაში 2-ში, ხოლო სერბეთში 2 და 3 იანვარსაც ისვენებენ. რუსეთში საახალწლო არდადეგები იანვრის მთელ პირველ კვირას გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ისლანდიასა და ლატვიაში 31 დეკემბერიც უქმე დღეა. რუსეთი და ბელარუსი ორად ორი ქვეყანაა ევროპაში, სადაც არც წითელი პარასკევი და არც აღდგომის შემდგომი ორშაბათი უქმე დღეებია არაა. მხოლოდ წითელ პარასკევს ისვენებენ ესტონეთი, პორტუგალია და მალტა, ხოლო კვიპროსსა და ნორვეგიაში დიდი ხუთშაბათიც უქმე დღეა.

ნიდერლანდების და დანიის გარდა, 1 მაისი ყველა ევროპულ ქვეყანაში უქმე დღეა. ქვეყნების უმეტესობა აღნიშნავს შრომის დღეს, თუმცა კვიპროსი, სლოვენია, მონტენეგრო, ჩეხეთი, სერბეთი ფინეთი და ირლანდია აღნიშნავენ გაზაფხულის დადგომას. რუსეთში შრომის დღე და გაზაფხულის დადგომა ერთიანად აღინიშნება. 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე, მხოლოდ რუსეთში, მოლდოვაში, უკრაინასა და ბელარუსში გამოცხადებულია დასვენების დღედ. აგრეთვე ბელარუსი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 7 ნოემბერი – ოქტომბრის რევოლუციის დღე, უქმეა. 7 იანვარს შობის დღესასწაული უქმეა რუსეთში, მონტენეგროში, მოლდოვაში, მაკედონიაში, სერბეთში, უკრაინასა და ბელარუსში. აგრეთვე ბელარუსში და მოლდოვაში 25 დეკემბერიც დასვენებაა.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში. საქართველოს შრომის კოდექსი 17 უქმე დღეს ითვალისწინებს (დიდი შაბათისა და აღდგომის ჩათვლით), ესენია:

– 1–2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

– 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

– 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

– 3 მარტი – დედის დღე;

– 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;

– 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

– სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

– 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

– 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

– 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

– 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

– 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;

– 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

თუ უკრაინული საიტის მეთოდოლოგიას დავეყრდნობით და აღდგომის შაბათ-კვირას არ მივათვლით უქმე დღეებს, გამოდის რომ საქართველოში 15 უქმე დღეა. ამ რიცხვით საქართველო ევროპის ლიდერი გამოდის სლოვაკეთთან ერთად. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 2017 წლის 15 მარტს მხარი დაუჭირა ინიციატივას 12 აგვისტოს – დიდგორის ბრძოლის დღე - „საქართველოს დიდი გამარჯვების" დღედ გამოცხადებას და უქმედ დაწესებას. ამ შემოთავაზების კანონად მიღების შემთხვევაში, საქართველო სლოვაკეთს გაასწრებს უქმე დღეების რაოდენობით და ევროპაში პირველი გახდება, ხოლო მსოფლიოში არგენტინისა და იაპონიის მაჩვენებელს გაუტოლდება.

ასევე საინტერესოა საერო და სასულიერო დღესასწაულების თანაფარდობა. დანიას 10 დღესასწაულიდან მხოლოდ ერთი საერო დღესასწაული აქვს, რუსეთს პირიქით: 12 დღესასწაულიდან მხოლოდ ერთია რელიგიური. ესტონეთს, მალტას, პორტუგალიასა და რუმინეთს თანაბარი რაოდენობის საერო და რელიგიური დღესასწაულები აქვთ. იმ ქვეყნებს შორის, სადაც რელიგიური დღესასწაულები სჭარბობენ საეროს, არიან: ავსტრია, საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები., ხოლო ალბანეთში, სლოვენიაში, სერბეთში, ბელარუსში, უკრაინასა და მოლდოვაში საერო დღესასწაულები რელიგიურს სჭარბობს. საქართველოში 15 დღესასწაულიდან 7 საეროა, ხოლო 8 – საეკლესიო.

# რას უკავშირებენ მწარმოებლები ქართულ სუნელებზე ამერიკის ჯანდაცვის დეპარტამენტის გაფრთხილებას



**ქართული სუნელის მწარმოებლები ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციას სუნელებში ტყვიის საგანგაშო დოზის აღმოჩენასთან დაკავშირებით „კომერსანტთან" აფასებენ. მათი განცხადებით, „ქართული სუნელი ტყვიას არ შეიცავს".**

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ On.ge-მ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2017 წელსაც, ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის ცნობით, ტყვიის საგანგაშო დოზა აღმოჩნდა საქართველოში ნაყიდ ან საქართველოდან აშშ-ში გაგზავნილ სუნელებში.

– დიახ, ჩვენ ვაგრძელებთ ნიუ-იორკში ტყვიით მოწამვლის შემთხვევების იდენტიფიცირებას, რაც დაკავშირებულია საქართველოში ნაყიდი, ან საქართველოდან გამოგზავნილი სუნელების მოხმარებასთან. ჩვენ, ზოგადად, რეკომენდაციას ვაძლევთ ადამიანებს, რომ სუნელები შეიძინონ ნიუ-იორკის ადგილობრივ მაღაზიებში. ჩვენი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ნაყიდ, ან საქართველოდან გამოგზავნილ სუნელებში უფრო მეტად არის ტყვიის მაღალი შემცველობა, ვიდრე აშშ-ის მაღაზიებში ნაყიდ სუნელებში, – აცხადებენ ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტში.

სუნელების მწარმოებელი კომპანია „ბლექსი ჯორჯიას" ხელმძღვანელი ბაგრატ მეზურნიშვილი „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ ამერიკის უწყებამ აქცენტი, სავარაუდოდ, ირანულ მარილზე დამზადებულ სუნელებზე ირანსა და ამერიკის პოლიტიკური ურთიერთობის გამო გააკეთა.

– ამერიკამ ეს განცხადება გააკეთა, თუმცა, მათ შეიძლება ეს შეამოწმეს ან შეიძლება არც შეამოწმეს. მთავარია ის, რომ ეს არის დარტყმა იმ იმპორტულ პროდუქტზე, რომელიც არ უნდათ, რომ საქართველოში შემოვიდეს. ირანიდან საქართველოში ყველაზე იაფფასიანი მარილი შემოდის. თუმცა, არ ვიცი ის ტყვიას შეიცავს თუ არა, არ შემიმოწმებია. მე პირადად, უკრაინულ მარილს ვიყენებ, თუმცა პროდუქციის ექსპორტს არ ვახორციელებთ, – აცხადებს მეზურნიშვილი.

მისი განმარტებით, კომპანია ქართულ ბაზარზე 2003 წლიდან ოპერირებს და ადგილობრივი ბაზრისთვის დაახლოებით 35 დასახელების სუნელს, სვანურ მარილს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს.

სვანური მარილის და სუნელების მწარმოებელი კომპანია „ლუშნუს" ხელმძღვანელი სანდრო გოშთელიანი განმარტავს, რომ პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე ყიდის. მისი თქმით, ქართული სუნელები ტყვიას არ შეიცავს. მისი თქმით, ამის კონტროლი მხოლოდ სურსათის უვნებლობის სამსახურს შეუძლია. კერძოდ, მათ შეუძლიათ შეამოწმონ თუნდაც იმპორტირებული პროდუქცია, სადაც შესაძლოა, მართლაც იყოს ტყვიის შემცველობა.

ქართული სუნელების წარმოებას რამდენიმე თვეში გეგმავს სვანური მარილის მწარმოებელი კომპანია „ზესხო". კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი ალავიძე განმარტავს, რომ მისი კომპანია ქართული სუნელების წარმოებას ახლა იწყებს, თუმცა, გარკვეული სახის სუნელებს სვანური მარილისთვის სხვადასხვა იმპორტიორისგან იღებს და პროდუქტის შემცველობას მუდმივად ამოწმებს. ალავიძე სუნელების მწარმოებელ კომპანიების ხელმძღვანელებს ნედლეულის შემოწმებისკენ მოუწოდებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით კი, ადგილობრივ ბაზარზე მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა სურსათში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით მონიტორინგი. 2017 წლის მონიტორინგის შედეგები მიმდინარე კვირაში გახდება ცნობილი:

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ადგილობრივ ბაზარზე მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი ტყვიის შემცველობაზე სხვადასხვა სურსათში, მათ შორის, სუნელებში. არსებული მონაცემებით, მასშტაბური დარღვევები არ აღინიშნება და ქართული სუნელები შეზღუდვის გარეშე გადის 30-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში, – აცხადებს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი.

სააგენტოს ცნობითვე, სუნელებში ტყვიის შემცველობის შემოწმების მიზნით 2015-2016 წლებში აღებულია 38 ნიმუში, საიდანაც ტყვიის შემცველობა დასაშვებ ნორმას აღემატებოდა 1 შემთხვევაში. 2017 წელს სააგენტომ სარეალიზაციო ბაზარზე არსებული სხვადასხვა ობიექტიდან უკვე აიღო 60-მდე ნიმუში, რომლებიც გაგზავნილია კვლევისთვის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში და დეტალური ინფორმაცია შედეგების შესახებ მიმდინარე კვირის განმავლობაში გახდება ცნობილი.

# მოზიდული პრემიების მიხედვით, საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარებადი ქვეყნების ბოლო რიგებშია

დასაწყისი მე-3 გვერდზე

2016 წელს თითქმის 19 მილიონი ლარი დაფიქსირდა, რაც 7-ჯერ მეტია წინა წლის მონაცემთან შედარებით.

სადაზღვევო სექტორში დომინანტური პოზიცია ბაზრის 45%-იანი წილით სამედიცინო დაზღვევას უჭირავს, რომელიც 175 მილიონ ლარს აჭარბებს. მას მოსდევს ქონების დაზღვევა 65 მილიონი ლარით და სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა 60 მილიონი ლარით. ჯამში ამ სამი სეგმენტის წილი მთლიან დასაზღვევო სექტორში 76%-ს შეადგენს. შედარებით მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი 7%-იანი წილი უჭირავს სიცოცხლის დაზღვევას.

საყურადღებოა, რომ 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, საკმაოდ დამაჯერებლად იზრდება ბაზრის არალიდერი სექტორები: სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა – 56%-ით, საავიაციო პასუხისმგებლობის დაზღვევა – 41%-ით, ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა – 27%-ით, სამოგზაურო დაზღვევა – 15%-ით, ჯანმრთელობის დაზღვევა – 14%-ით. სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და საავიაციო პასუხისმგებლობის დაზღვევის ზრდა ბაზარზე შემოტანილმა ახალმა პოლისებმა განაპირობა. მაგალითად, ისეთმა, როგორიცაა სადაზღვევო კომპანია ,,უნისონის" მიერ შემოთავაზებული ქართული საჰაერო ცის დაზღვევა.

❖ ❖ ❖

ქართულ სადაზღვევო ბიზნესში ოპერირებს 14 კომპანია. მათგან პირველ სამ ლიდერ კომპანიაზე, ,,ჯი პი აი", ,,ალდაგი", ,,იმედი L", მოდის მთლიანი მოზიდული პრემიის 55%. მართალია, ,,ჯი პი აი" ბაზრის ნომინალური ლიდერია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ,,ალდაგი" და ,,იმედი L" გაერთიანებული არიან ერთი ჰოლდინგის ქვეშ. ამიტომ მართებული იქნება, თუ მათ საერთო წილს შევადარებთ ,,ჯი პი აი-ს". ამ შემთხვევაში, სურათი იცვლება – ამ ორი კომპანიის საერთო პრემია 132 მილიონი ლარია, რაც ბაზრის 34%-ს შეადგენს. ამ პირობებში ბაზრის უდავო ლიდერი ,,ალდაგია".

თუ სექტორების მიხედვით მიმოვიხილავთ, ვნახავთ, რომ პირველ სამ ლიდერ სექტორში (სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო დაზღვევა) ,,ალდაგი" ან ,,იმედი L" არიან ლიდერები. კერძოდ, სამედიცინო დაზღვევაში ,,იმედი L" ლიდერობს 36%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ ორში – ,,ალდაგი" – თითოეულში 37%-იანი წილით, ხოლო ,,ჯი პი აი" სტაბილურად მეორე ადგილზეა. სხვა სექტორებშიც ,,ალდაგი" და ,,ჯი პი აი" ლიდერობენ.

როგორც ვხედავთ, სადაზღვევო ბიზნესი პრაქტიკულად სამი სექტორისგან შედგება, რომლის 60%-ს ინაწილებს ორი კომპანია. სადაზღვევო სექტორის განვითარების დონე, როგორც თავიდან აღვნიშნე, ჩანასახის ეტაპზეა და ძირითადი ზრდა მას წინ ელოდება. რაც დრო გადის, მით უფრო უკეთ ხვდება მოსახლეობა, რომ თავიანთ შემოსავლის ნაწილი დაზღვევას უნდა მოახმარონ, თუმცა ტემპი საკმაოდ დაბალია. მაგალითისთვის სამედიცინო დაზღვევის პოლისების რაოდენობა 2016 წელს 2014 წელთან შედარებით 1,4%-ით მეტია, რაც ძალიან დაბალი ზრდაა. ამ ტენდენციების გათვალისწინებით, ხელისუფლება ხშირად საუბრობს სადაზღვევო სექტორში რეფორმების



გატარებაზე. ამ მხრივ, გამოირჩეოდა კერძო და სახელმწიფო დაზღვევის გამიჯვნა. ამ ცვლილებით სახელმწიფომ უარი თქვა საშუალო და მაღალშემოსავლიანთა დაზღვევაზე და სერვისი მიზნობრივი გახდა დაბალშემოსავლიანებისთვის. შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, ნამდვილად საჭირო რეფორმა იყო.

❖ ❖ ❖

სავარაუდოდ, წელსვე ამოქმედდება ტრანზიტული ავტომობილებისთვის მესამე პირის დაზღვევის სავალდებულოობა და, ზოგადად, სავალდებულო დაზღვევის მიმართულებით რეფორმების გატარებაზე უკვე აქტიურად მიმდინარეობს საუბარი. აქ ორი უმთავრესი საკითხი დგას დღის წესრიგში: სავალდებულო დაზღვევის შემოღებით დაზღვევის კულტურის არქონის პრობლემა ავტომატურად იხსნება და ყველა მოქალაქე ხდება დაზღვეული და დაზღვევის სერვისის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდით, დიდი ალბათობით, ამ სერვისის ფასი შემცირდება. გარკვეული ტიპის რეგულაციებს თავად ევროკავშირთან ასოცირების პროცესი ითხოვს.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონისა, სახელმწიფომ პირველ რიგში რაც უნდა გააკეთოს, არის ის, რომ გარკვევით განაცხადოს, რომ იგი არ არის სადაზღვევო კომპანია და არც ერთ ზარალს, მათ შორის არც ყურძნის მოსავლის განადგურებას, არც ხანძრის შედეგად ოქროს და არც სხვა რაიმე სახის ბიზნესს არ დააზღვევს და ამის შემდგომ, მოსახლეობა თავად გადაწყვეტს, ურჩევნია ბედის ანაბარა ცხოვრება თუ ურჩევნია სტაბილურ, საიმედო გარემოში ცხოვრება.

სავალდებულო დაზღვევასაც გააჩნია საკმაოდ ბევრი ნაკლი, ვინაიდან იგი შეიძლება ჩავთვალოთ გადასახადად და მასაც სხვა სახელმწიფო გადასახადის მსგავსი ბუნება აქვს – ჩვენს უკითხავად გვართმევენ და ჩვენს უკითხავად გვახარჯავენ ან არ გვახარჯავენ. სახელმწიფოს მხრიდან კი ამ კიდევ ერთი ბეგარის დამატება, ერთი მხრივ, უსამართლოა. ყველა ადამიანს აქვს განსხვავებული პრეფერენციები, ზოგი ადამიანი რისკმოყვარულია, ზოგი – რისკნეიტრალური, ზოგიც – რისკმოძულე. რა ცხოვრების გზას აირჩევენ, ეგ თავად უნდა გადაწყვიტონ. რისკის ქვეშ ცხოვრებაც ადამიანის უფლებაა და სახელმწიფოს მხრიდან იმის მტკიცება, რომ მას (მოქალაქეს) პირიქით – ურისკო ცხოვრება მოსწონს, სრულიად უსაფუძვლოა. მთავარი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოს უჭირს მოქალაქეებს პირდაპირ უთხრას, რომ იგი სადაზღვევო კომპანია არ არის და ყველა მოქალაქემ თავად უნდა აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და თავად უნდა გაწიოს რისკ მენეჯმენტი.

# დათო როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული შიმშილობის დაწყებას აპირებს

დავით როსტომაშვილზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული ზურაბ ქუთელიას ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე „ნიუპოსტთან" საუბრისას აცხადებს, რომ საქმეში არ არსებობს არც ერთი ვიდეოჩანაწერი, რომელიც დაადასტურებს, რომ იუმორისტს თავს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი დაესხა.

ადვოკატის თქმით, შემთხვევისას დაკავებული საკუთარი ავტომობილით, გოგოსთან ერთად გადაადგილდებოდა. დაცვის მხარისთვის გაუგებარია, იუმორისტი ხელს ახალგაზრდა მამაკაცს რატომ ადებს.

კობაიძის განცხადებით, რეალური დამნაშავეები იდენტიფიცირებულები არ არიან.

– ქუთელია მხოლოდ იმიტომ არის დაკავებული, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, ეს სათვალთვალო კამერებით გადაღებულ მასალაშიც ჩანს. ამასთან საქმეში დევს იმ მოწმის ჩვენება, რომლის მანქანითაც სავარაუდო დამნაშავეები როსტომაშვილზე თავდასასხმელად მივიდნენ. ეს ადამიანი ამბობს, რომ ქუთელია მის მანქანაში არ მჯდარა, – აღნიშნავს დაკავებულის ადვოკატი.

კობაიძე „ნიუპოსტთან" საუბრისას აცხადებს, რომ პროცესი შეგნებულად იწელება, რადგან ნამდვილი დამნაშავეები ამ დრომდე დაკავებულები არ არიან.

მისი თქმით, პროკურატურას მოუწევს ქუთელია გაათავისუფლოს, რის შემდეგაც როსტომაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

– თუ დამტკიცდება, რომ აღნიშნულ საქმეზე ქუთელია უდანაშაულოა და გამოძიება შეწყდება, აბსოლუტურად ლეგიტიმურად ცრუ ჩვენების მიცემისთვის, როსტომაშვილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცეს, – განაცხადა ადვოკატმა.

ქუთელიას დედა მარინა მიქაძე „ნიუპოსტთან" აცხადებს, მისი შვილი შიმშილობის





დაწყებას აპირებს, ოჯახი კი აქციებს გამართავს.

– კამერებში ჩანს, რომ ჩემ შვილი როსტომაშვილის ცემაში არ მონაწილეობდა. ზურა, მეგობარ გოგონასთან ერთად, საკუთარი მანქანით გადაადგილდებოდა. ექსპერტიზაზე ყველაფერი გადაგზავნილია, იმედი მაქვს, სიმართლე გაირკვევა და ჩემს შვილს გამოუშვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში აქციებს გავმართავთ, თვითონ ზურა შიმშილობას აპირებს და მეც შევუერთდები. ეს კადრები ვნახე, ვიზუალურად რომ ჩემი შვილის ტანი არ არის, ამაში დარწმუნებული ვარ. ზურა იქ არ ყოფილა, რეალური დამნაშავეები დაკავებულები არ არიან. წარმოიდგინეთ, რომ ეს ჩაიდინა და სახლში ელოდებოდა, პოლიცია როდის წაიყვანდა. არანაირ ჯაჭვში ეს არ ჯდება, – აცხადებს მარინა მიქაძე.

იუმორისტ დავით როსტომაშვილს თავს 14 ივნისს დაესხნენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას ბეისბოლის ჯოხით სცემეს. შემთხვევა ყოფილი 5 დეკემბრის ქუჩაზე მოხდა, საქმეზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა. მეორეზე კი ძებნაა გამოცხადებული, რომელიც პოლიციას განყოფილებიდან გაექცა.

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ერთი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულსამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელი თამაზ ინალიშვილი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სუს-დან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ თამაზ ინალიშვილი საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა თავისი ნაცნობის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლის მეშვეობით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის 3 წლის ვადით გადავადებას, რის სანაცვლოდაც 1.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა.

– მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს თამაზ ინალიშვილმა აღნიშნულ მოქალაქეს გამოართვა მოთხოვნილი თანხა 1.000 აშშ დოლარის ოდენობით და განუმარტა, რომ უმოკლეს ვადაში გადასცემდა სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობას, რომელშიც იქნებოდა სავალდებულო სამსახურის გადავადების შესახებ შესაბამისი მონაცემი.

2017 წლის 5 ივლისს თამაზ ინალიშვილმა მოქალაქეს გადასცა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების ამსახველი სამხედრო-სააღრიცხვო წვევამდელის ყალბი მოწმობა, რის შემდეგაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს, – აცხადებენ სუს-ში.

გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 25– 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

## სასამართლომ ადამიანით ვაჭრობისთვის ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



სასამართლომ ადამიანით ვაჭრობისთვის ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც „ინტერპრესნიუსს" პროკურატურიდან აცნობეს, მიმდინარე წლის 4 ივლისს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ადამიანით ვაჭრობისთვის ბრალდებული, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე რ.ა. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (დანაშაულის ორ ეპიზოდში).

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ რ.ა.-მ უზბეკეთიდან საქართველოში მოტყუებით, თითქოსდა დასაქმების პირობით უზბეკეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე ჩამოიყვანა, ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტები, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში. ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, ძალადობით, შანტაჟითა და იძულებით მოახდინა გადაბირება, განახორციელა მათი პროსტიტუციაში ჩაბმა და სექსუალური მომსახურების იძულებით გაწევა.

ვინაიდან, რ.ა. თავს არიდებდა გამოძიებას, მას ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

სასამართლომ მიმალვაში მყოფი ბრალდებული რ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## მუსტაფა ჩაბუქის მეუღლემ მთავარ პროკურორს მიმართა



დემირელის სკოლის მენეჯერის მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეუღლე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვას ითხოვს.

აღნიშნული მოთხოვნით თუბა ჩაბუქიმ დღეს ადვოკატთან ერთად მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის, სახელზე განცხადება შეიტანა.

– დღეს შევიტანეთ განცხადება პროკურატურაში დაცვის გამოყოფასთან დაკავშირებით, ვინაიდან ჩემზე სოციალური ქსელების მეშვეობით ხორციელდება ზეწოლა. ბოლო დღეებში თურქულ მედიაში დაიბეჭდა სტატიები ჩემს ოჯახზე, სადაც მოღალატეებად ვართ მოხსენებული და წერენ წერილებს, რომ უნდა ჩამოვიდნენ და დაგვხოცონ. მარტო ვარ, ორ ბავშვთან ერთად, მეუღლე გვერდით არ მყავს და მეშინია, – განაცხადა თუბა ჩაბუქიმ.

ოჯახის ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხადებით, განცხადებას თან ერთვის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ოჯახზე ხორციელდება ზეწოლა, რაც „საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ ჩაბუქები სახელმწიფო დაცვის სპეციალურ პროგრამაში იყვნენ ჩასმული".

მისი განმარტებით, პროკურატურას საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისთვის კონკრეტული ვადა არ აქვს.

## ტრაგედია ადიგენში – წყალსაცავში მამიდა და ძმისშვილი დაიხრჩო

ადიგენში, სოფელ გორგულის ხიდთან, „კახარეთი-ჰესის" წყალსაცავში მამიდა და მცირეწლოვანი ძმისშვილი დაიხრჩო.

გარდაცვლილი ბავშვის მამა ადიგენის საკრებულოს წევრია. საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ლობჯანიძის ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი, სავარაუდოდ, წყალსაცავში ჩასულ ძმისშვილის მიეშველა, რა დროსაც არხიდან ამოსვლა ვერც ერთმა მათგანმა ვეღარ შეძლო. მაშველებმა მათი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

## ფოტორეპორტიორების საქმეზე, შესაძლოა, ეკა ბესელია აღარ დაიკითხოს

ფოტორეპორტიორების საქმეზე დეპუტატი ეკა ბესელია, შესაძლოა, აღარ დაიკითხოს. დაცვის მხარე სადავოდ აღარ ხდის გიორგი აბდალაძის ყოფილი ადვოკატის გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას, რის საფუძველზეც სახელმწიფო ბრალდებამ დეპუტატი, შესაძლოა, აღარ დაკითხოს.

ეკა ბესელიას გარდა, ადვოკატებმა კიდევ რამდენიმე მოწმის ჩვენება გახადეს უდავოდ. სახელმწიფო ბრალდება მომდევნო პროცესზე დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას, მტკიცებულებების უდავოდ გახდის მიუხედავად, დაკითხავს თუ არა დარჩენილ მოწმეებს.



ამასთან, მომდევნო პროცესზე, რომელიც 10 ივლისს დაინიშნა, სავარაუდოდ, ბრალდებულის დაკითხვაც მოხდება.

ფოტორეპორტიორების საქმეზე ბრალი კონტრდაზვერვის ყოფილ მაღალჩინოსანს დავით დევნოზაშვილს და სასჯელაღსრულების ნომერ მერვე დაწესებულების ყოფილ დირექტორს ალექსანდრე მუხაძეს აქვთ წაყენებული. პროკურატურა მათ, ჯაშუშობის ბრალის აღიარების მიზნით, ფოტორეპორტიორებზე ზეწოლის განხორციელებას ედავება.

## მაშველებმა ზღვიდან 14 მამაკაცი გამოიყვანეს

ბათუმში მაშველებმა დღეს 14 ახალგაზრდა მამაკაცი გადაარჩინეს. აქედან 2 პირი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის შესახებ „ნიუპოსტს" საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს.

მათივე განმარტებით, ბათუმში 5 ბალამდე შტორმი დაფიქსირდა, რომელიც ორ დღეში განიმუხტება. უამინდობის გამო ყველა სამაშველო კოშკურაზე წითელი ალმებია აღმართული, რაც იმას ნიშნავს, რომ ზღვაში ბანაობა აკრძალულია, მაგრამ მოქალაქეები მითითებებს არ ემორჩილებიან და ზღვაში საბანაოდ მაინც შედიან.

## თურქეთში საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია




თურქეთში საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

– 29 ივნისს გენერალურ საკონსულოში, სტამბოლის პოლიციის განყოფილებიდან შემოვიდა წერილობითი შეტყობინება, 28 ივნისს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით საქართველოს მოქალაქე გივი მაჩაიძის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით. დაჭრილი მოქალაქე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოქალაქე დაკავებულია, გადაყვანილია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, – აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

გარდაცვლილის ცხედრის საქართველოში გადმოსვენება, გენერალური საკონსულოს შუამდგომლობითა და სტამბოლის მერიის მხარდაჭერით, დღეს მოხდება.

## ვაკეში ავტომანქანა ამობრუნდა



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისში. აბაძიშის ქუჩაზე ავარიის შედეგად ავტომანქანა ამობრუნდა. როგორც „ნიუპოსტს" შს სამინისტროს პრესცენტრში განუცხადეს, შემთხვევის შედეგად მძიმე დაზიანება არავის მიუღია.

სოციალურ ქსელში გავრცელდა აღნიშნული ფოტო, სადაც მითითებული იყო, რომ „სითი პარკის" თანამშრომლებს მანქანა ევაკუატორიდან ჩამოუვარდათ. მომხდარს არ ადასტურებენ „სითი პარკში". შს სამინისტროში განაცხადეს, რომ საქმე ეხება ავტოსაგზაო შემთხვევას.

## რექს ტილერსონი უკრაინაში 9 ივლისს ჩავა

9 ივლისს კიევში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი ჩავა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინა–აშშ-ს თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება იქნება.



საუბარია როგორც ამერიკული ინვესტიციების ზრდაზე, აგრეთვე უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებაზე.

პრორუსული ორიენტაციის ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი აცხადებს, რომ ტრამპის ადმინისტრაციაში უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხს სერიოზულად განიხილავენ. საუბარია უკრაინისთვის ნატოს ფარგლებში გარკვეული სტატუსის მინიჭებაზეც.

– ჯერჯერობით ეს მხოლოდ საუბრებია, დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, – ამბობს საიმსი.

## აშშ-ში დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს

4 ივლისს აშშ-ში დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. მთელს ქვეყანაში გაიმართა პარადები, ფეიერვერკები, საზეიმო შოუები.



– ამერიკა 241 წლისაა! მიუხედავად ამისა, დღეისთვის ჩვენ ყველაზე ძლიერი, მდიდარი და სამართლიანი ქვეყანა ვართ! აშშ მსოფლიო წესრიგის სადარაჯოზე მტკიცედ დგას. ეს ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, – განაცხადა ტრამპმა.

თავად პრეზიდენტმა დამოუკიდებლობის დღე ოჯახთან და ვეტერან სამხედროებთან ერთად აღნიშნა.

– ბედნიერებას ვუსურვებ ყველას, ვისთვისაც ამერიკული სახელმწიფოებრიობა ძვირფასია, – განაცხადა ტრამპმა.

## რუსეთი და ჩინეთი ფხენიანს რაკეტების გამოცდების შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

მოსკოვში პუტინისა და ჩინეთის ლიდერის შეხვედრა გაიმართა.



ხელმოწერილ იქნა საერთო განცხადება, სადაც ჩრდილოეთ კორეას სარაკეტო გამოცდების შეჩერებისკენ მოუწოდებენ.

პოლიტოლოგ ვლადიმერ ფისენკოს აზრით, პუტინმა ტრამპს მორიგი სიგნალი გაუგზავნა: შეწყვიტეთ უკრაინის მხარდაჭერა, არ გაუწიოთ კიევს სამხედრო დახმარება, სანაცვლოდ მზად ვართ, ჩრდილოეთ კორეაზე ზემოქმედებაში დაგეხმაროთ.

– პუტინი ტრამპთან შესახვედრად გულმოდგინედ ემზადება, – ამბობს ფისენკო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ავსტრალიელმა შიშველი ხელებით უზარმაზარი კიბორჩხალა დაიჭირა



ავსტრალიელმა ბო გრივზმა უზარმაზარი კიბორჩხალა შიშველი ხელებით დაიჭირა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მან ფეისბუქში გამოაქვეყნა.

ვიდეოს დასაწყისში გრივზი განმარტავს, რომ აპირებს მარცხენა ხელის ჩაყოფას სოროში, რომელშიც კიბორჩხალა იმალება. მარჯვენა ხელში დაიჭერს ხის ტოტს, რათა მისით ცხოველი შეაშინოს. როდესაც ცხოველი უკან დაიხევს და გაქცევას შეეცდება, ის მას ხელს სტაცებს, დაიჭერს და სოროდან გამოიყვანს.

ამის შემდეგ გრივზი სოროში თითქმის წელამდე შეძვრა. მცირე ორთაბრძოლის შემდეგ ის სოროდან გამოძვრა და დიდი კიბორჩხალა გამოიყვანა. მისმა ახლობელმა, რომელიც ამ ყოველივეს ვიდეოზე იღებდა, აღფრთოვანება ვერ დამალა.

– ორი ნაკბენი მივიღე, კინაღამ თითი დავკარგე, ხელის მტევანი დამესერა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაც მეტჯერ აკეთებ ამას, მით უკეთესად გამოგდის, – დაწერა გრივზმა ფეისბუქში.

აღსანიშნავია, რომ კიბორჩხალას გარდა ბო გრივზს შიშველი ხელებით დაჭერილი ჰყავს ზღვის გველები, შხამიანი გველები და თევზები, ცურავდა ზვიგენებისა და ნიანგების გარემოცვაში.

## სინგაპურელმა სტუდენტმა იმუნიტეტისთვის სასარგებლო ლუდი გამოიგონა



სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტის სტუდენტმა მჟავე ლუდის ახალი სახეობა გამოიგონა, რომელიც პრობიოტიკებითაა გამდიდრებული, რომლებსაც ტოქსინებისა და ვირუსების განეიტრალება შეუძლიათ. ასევე აძლიერებენ იმუნურ სისტემას.

ასეთი ალკოჰოლური სასმელის შექმნის იდეა 22 წლის მეოთხე კურსელ გოგონა ალსინ ჩანს დაებადა. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პრობიოტინებით მდიდარი სასმელები რძის პროდუქტებს წარმოადგენდნენ. ამის გამო ის ადამიანები, რომლებიც ალერგიულები არიან, ან მათთვის ლაქტოზა მიუღებელია, მათ მოხმარებას გაურბიან.

გოგონამ აღიარა, რომ ლუდში პრობიოტიკების დამატება საკმაოდ „რთული ილეთი“ იყო, ვინაიდან ეს სასმელი სვიას მჟავას შეიცავს, რომელიც ხელს უშლის სასარგებლო ბაქტერიების ზრდა განვითარებას. ჩანი ექსპერიმენტებს ხუთი სახის პრობიოტიურ შტამებზე ატარებდა და წარმატებას Lactobacillus paracasei-ით მიაღწია.

ფინალურ ვარიანტში „სასარგებლო ლუდში“ 100 მილილიტრზე მილიარდი პრობიოტიკი იქნება, ხოლო ალკოჰოლის შემცველობა 3,5 პროცენტი იქნება. ამ ხარისხის ლუდის ხარშვის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთი თვეა. ჩანი და მისი პროფესორი ლიუ შაო ციუანი გამოგონების დაპატენტებას აპირებენ.

## ამერიკელ ქალს საკუთარ ავტოფარეხში დათვი დახვდა



ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ კოლორადო-სპრინგსის მცხოვრებმა ქალბატონმა სახლში ავტომობილით დაბრუნების შემდეგ, საკუთარ ავტოფარეხში დათვი აღმოაჩინა.

ქალი, რომლის ვინაობა უცნობია, შეეცადა დამოუკიდებლად გაეგდო მტაცებელი ცხოველი. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ადგილობრივმა გამოცემამ იუთუბიზე საკუთარ არხზე გამოაქვეყნა.

ორ დღეში ვიდეორგოლი 1,7 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

## თურქეთში ძაღლს ვენის კამერული ორკესტრის კონცერტი მოეწონა



ვენის კამერული ორკესტრის კონცერტის დროს, რომელიც თურქეთის ქალაქ ეფესში იმართებოდა, სცენაზე ძაღლი გამოვიდა.

გერმანელი კომპოზიტორის ფელიქს მენდელსონის მეოთხე სიმფონიის შესრულების დროს, ორკესტრს ლაბრადორი შეუერთდა. ძაღლმა მუსიკოსებს მძიმე, დაღლილი ნაბიჯებით ჩაუარა და დირიჟორის სიახლოვეს წამოწვა. მევიოლინე, რომლის მახლობლადაც მოკალათდა ცხოველი, ღიმილით გადახედავდა ხოლმე მოულოდნელად გამოჩენილ სტუმარს, თუმცა დაკვრას აგრძელებდა. მაყურებლები სცენაზე ძაღლის გამოჩენას სიცილითა და აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ტვიტერში ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი თურქმა მევიოლინემ ფაზილ სეემმა გამოაქვეყნა. ვიდეორგოლმა მცირე დროში 6,5 ათასზე მეტი მოწონება და დაახლოებით 4 ათასი გაზიარება მიიღო.

## ამერიკელი საკუთარი მოტოციკლეტის ეტლში დაასაფლავეს

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგის მცხოვრები საკუთარი მოტოციკლეტის ეტლში დაასაფლავეს. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

89 წლის არტურ ვერნერ-უფროსი 25 ივნისს კიბოსგან გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან მოძებნა მოტოენთუზიასტები, რომლებმაც დამკრძალავი ბიურო გახსნეს. ისინი დათანხმდნენ, მისი გეგმა განეხორციელებინათ. გარდაცვლილი მოტოკატაფალკით მიასვენეს სასაფლაოზე და ჰარლეი-დევიდსონის ეტლში დაასაფლავეს, რომლითაც ის 27 წლის განმავლობაში დადიოდა. ბიუროს ერთ-ერთი მფლობელის თქმით, მისი გადაკეთება არ დასჭირვებიათ.

არტურ ვერნერ-უფროსი ბავშვობიდანვე მოტოციკლეტებზე იყო შეყვარებული. ჰარლეი-დევიდსონი მისი მშობლების უმთავრეს სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა. მან მთელი ცხოვრება გემთმშენებელ კომპანიაში შემდუღებლად იმუშავა, ხოლო პენსიაზე გასვლის შემდეგ



მოტოციკლეტი Harley-Davidson Heritage Softaili-ი იყიდა, რომელიც ამ კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობად მოდელად ითვლება.

– ის ამ მოტოციკლეტისთვის ცოცხლობდა, – განაცხადა მისი შვილის მეუღლემ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია:** საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

**თამარ ხარხელი:** მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# გოლდენ სტეიტი ფაჩულიას შეინარჩუნებს




ამერიკული მედიის ცნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია გოლდენ სტეიტ უორიორსთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

გავრცელებული ინფორმაციით, გოლდენ სტეიტს ქართველ კალათბურთელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს და სავარაუდოა, რომ ფაჩულია მომდევნო სეზონში კვლავ გოლდენ სტეიტის ღირსებას დაიცავს.

ფაჩულია გოლდენ სტეიტ უორიორსში გასულ წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ქართველმა კალათბურთელმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, 2017 წლის 1-ელ ივლისს კი ქართველი ცენტრი კვლავ თავისუფალი აგენტი გახდა. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა ჩვენებურის გარჯით კმაყოფილია და თანამშრომლობის გაგრძელება სურს.

შეგახსენებთ, რომ ზაზამ გოლდენ სტეიტთან ერთად წელს ნბა-ს ჩემპიონობა მოიპოვა და საჩემპიონო ბეჭედიც მიიღო.

# საბურთალო ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს

საბურთალოს 19-წლამდელთა გუნდი 2017-18 წლების სეზონზე უეფას ახალგაზრდულ ლიგაზე ითამაშებს. ინფორმაცია უეფადან კლუბში მივიდა.

საბურთალომ გასულ სეზონში 19 წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე დინამოელი თანატოლები დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში 2:1 და სპეციალურ თასთან და ოქროს მედლებთან ერთად, ევროტურნირებზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა.

გეტყვით, რომ აღნიშნული პირველობა უკვე რამდენიმე წელია ტარდება და მასში მონაწილეობის უფლება 19-წლამდელთა ფეხბურთელებს აქვთ. წლეულს 1999 წელს დაბადებულები იასპარეზებენ. ტურნირის რეგლამენტის მიხედვით, ყველა გუნდს შეუძლია სამი ფეხბურთელი, 1998 წელს დაბადებულიც, ათამაშოს.

შეგახსენებთ, რომ უეფას ახალგაზრდულ ლიგაზე საბურთალომ უკვე ითამაშა – 2015-16 წლების სეზონზე დედაქალაქური გუნდი დანიურ მიდტიულანდს დაუპირისპირდა და 2 მატჩის ჯამში დამარცხდა.

# 20 წლამდე ნაკრები სომხეთში ემზადება




საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონისთვის მზადების ციკლში სომხეთში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო, ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი ერევანში 12 კალათბურთელით გაემგზავრა. გუნდთან ერთად არ არის 2 წამყვანი მოთამაშე – ბითაძე და ბულაშვილი.

20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა ერევნის ტურნირისთვის შემდეგნაირია:

**უკანახაზელები:** დავით აფხაზავა, ტარიელ ზუზაძე, გიორგი ქავთარაძე, ლევან ბაბილოძე, ლევან გოგალაძე, რატი ნუცუბიძე;

**ფორვარდები:** ნიკა დარბაიძე, ლუკა გიორგაძე, გიორგი ცირიკიძე, ვილი ისიანი;

**ცენტრები:** ვლადიმერ ფურცხვანიძე, ალექსანდრე ფევაძე;

**ტურნირში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მონაწილეობენ:** ყაზახეთის 22-წლამდელთა ნაკრები, ასევე სომხეთის ეროვნული და 20-წლამდელთა ნაკრებები.

გეტყვით, რომ 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში 14-23 ივლისს იასპარეზებს, სადაც ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები იქნებიან მაკედონიის, რუმინეთის, მალტისა და ალბანეთის ნაკრებები.

# შედეგები

## 4 ივლისი

### ფეხბურთი

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ტრეპკა-ვიკინგური | 1:4 |
| ინფონტენტი-ჰიბერნიანი | 0:1 |
| ევროპა-ტნს | 1:3(დდ) |
| ლა ფიორიტა-ლინფილდი | 0:0 |
| სანტა კოლომა-ალაშკერტი | 1:1 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ბალცანი-ვიდეოტონი | 3:3 |
| პროგრესი-რეინჯერსი | 2:0 |

### ჩოგბურთი

**უიმბლდონი – კაცები**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-კლიჟანი | 6:3,6:0,6:0 |
| ფედერერი-დოლგოპოლოვი | 6:3,6:0,6:0 |
| რაონიჩი-შტრუფი | 7:6,6:2,7:6 |
| ტიმი-პოსპიშილი | 6:4,6:4,6:3 |
| ა.ზვერევი-დონსკოი | 6:4,7:6,6:3 |
| ბერდიხი-შარდი | 6:3,3:6,7:6,6:4 |
| დიმიტროვი -შვარცმანი | 7:6,6:2,6:2 |
| მონფილსი-ბრანდსი | 6:3,7:5,6:4 |
| სოკი-გარინი | 6:3,4:6,7:6,6:3 |
| მანარინო-ლოპესი | 5:7,6:1,6:1,6:3 |
| ფერერი-გასკე | 6:3,6:4,5:7,6:2 |
| ისნერი-ფრიტცი | 6:4,7:6,6:3 |
| რამოსი-ტომპსონი | 6:4,6:4,7:6 |
| მ.ზვერევი-ტომიჩი | 6:4,6:3,6:4 |
| დელ პოტრო-კოკინაკისი | 6:3,3:6,7:6,6:4 |
| იუჟნი-მაუ | 6:2,7:5,6:4 |
| რუბლიოვი-ტრაველია | 6:7,6:3,7:5,1:6,7:5 |
| ოფნერი-ბელუჩი | 6:2,6:3,6:2 |
| ტიაფო-ჰაასე | 6:3,3:6,7:6,7:5 |
| ბაღდატისი-ჯ.უორდი | 6:4,6:4,6:3 |
| სელა-გრანოლერსი | 4:6,6:3,1:6,6:2,6:1 |
| კუკუშკინი-დანიელი | 4:6,6:4,7:6,6:2 |
| ლაიოვიჩი-ციციპასი | 6:4,6:4,6:4 |
| სიმონი-ხარი | 7:6,6:3,6:3 |
| დარცისი-ბერანკისი | 4:6,6:3,2:6,6:4,6:3 |
| ჰარისონი-ჩორიჩი | 7:6,6:4,7:6 |
| ედმუნდი-ა.უორდი | 4:6,6:3,6:2,6:1 |
| სუგიტა-კლაინი | 7:6,6:3,6:0 |
| გულბისი-ბურგოსი | 6:1,6:1,6:2 |
| პავლაშეკი-ესკობედო | 6:7,6:1,6:3,6:1 |
| ალბოტი-ბანისი | 4:6,6:4,7:6,7:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| კერბერი-ფალკონი | 6:4,6:4 |
| კარ.პლიშკოვა-როდინა | 6:1,6:4 |
| ვოზნიაცკი-ბაბოში | 6:4,4:6,6:1 |
| კუზნეცოვა-ჟაბორი | 6:3,6:2 |
| ა.რადვანსკა-იანკოვიჩი | 7:6,6:0 |
| მლადენოვიჩი-პარმენტიე | 6:1,6:3 |
| მუგურუსა-ალექსანდროვა | 6:2,6:4 |
| როდიონოვა-პავლიუჩენკოვა | 3:6,7:6,9:7 |
| ბაშჩინსკი-პუიგი | 6:1,3:6,6:0 |
| მარტიჩი-გავრილოვა | 6:4,2:6,10:8 |
| კირსტეა-ბერტენსი | 7:6,7:5 |
| ვანდევეგე-ბარტელი | 7:5,6:2 |
| ლეპჩენკო-დევისი | 6:4,7:5 |
| კასატკინა-ს.ჟენგი | 6:2,6:4 |
| გოლუბიჩი-ს.ჟანგი | 6:3,6:7,6:1 |
| საფაროვა-დოდენი | 6:2,6:2 |
| ფლიპკენსი-დოი | 6:4,6:3 |
| როჯერსი-ბოუზრუპი | 6:3,4:6,6:3 |
| ლინეტი-მატეკი | 6:1,2:6,6:3 |
| ვიკმაიერი-ბონდარენკო | 6:2,7:5 |
| მაკჰეილი-ბულტერი | 3:6,7:5,6:3 |
| კუკოვა-ანდრეესკუ | 6:4,6:3 |
| ჰერცოგი-ბეკი | 6:2,6:1 |
| მაკაროვა-ვან უიტვანკი | 6:3,6:1 |
| რიბარიკოვა-ნიკულესკუ | 6:4,6:1 |
| ცურენკო-გორგესი | 6:7,7:6,6:4 |
| ალერტოვა-ოზაკი | 7:6,2:6,6:3 |
| დიასი-ჰანი | 6:3,6:4 |
| რისკე-სტივენსი | 6:2,7:5 |
| მარია-პოტაპოვა | 6:3,6:2 |
| კონტავეიტი-არუაბარენა | 6:2,6:4 |
| პირონკოვა-ერანი | 6:1,6:4 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შოთა არველაძე: „ჰოლანდიური სამწვრთნელო სკოლის მოსწავლე ვარ“

საფეხბურთო კლუბ ტაშკენტის ფახტაქორის ახალი მთავარი მწვრთნელის **შოთა არველაძის** ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.




***– რას გვეტყვით პირველი შთაბეჭდილებების შესახებ ფახტაქორთან და უზბეკეთთან დაკავშირებით.***

– მადლობა ყველას, ვინც მომცა უზბეკეთში ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება. განსაკუთრებული მადლობა კლუბის პრეზიდენტ ბოდურ შოდიევს. მან მოკლე პერიოდში ბევრი რამ გააკეთა ფახტაქორისთვის. მჯერა, კლუბს ელის კაშკაშა მომავალი. ვიცოდი უზბეკების სტუმართმოყვარეობის შესახებ, რაშიც აქ ჩამოსვლის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, შესანიშნავ განწყობაზე ვარ.

***– მოულოდნელი იყო ფახტაქორის შემოთავაზება?***

– დიახ, არ ველოდი. ესაა ცხოვრება, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. მე მომწონს მოულოდნელობები.

***– ტაშკენტში ჩამოსვლამდე რა ინფორმაციას ფლობდით უზბეკური ფეხბურთის შესახებ?***

– ვიცი კლუბის ისტორიის შესახებ, ფახტაქორმა უამრავი ტიტული მოიპოვა, ასევე ვფლობ ინფორმაციას 1979 წლის ავიაკატასტროფის შესახებ, რაც ძალიან სევდიანი და სამწუხარო ფაქტია. რამდენიმე დიდი ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა ფახტაქორში – მაგალითად, მანუჩარ მაჩაიძე. უზბეკეთის ეროვნული ნაკრების შესახებ ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ დროდადრო მეტს გავიგებ.

***– 1993 წელს თანამეგობრობის თასზე თბილისის დინამომ 5:2 დაამარცხა ფახტაქორი. თქვენ დუბლი შეასრულეთ. გახსოვთ ეს მატჩი? მოედანზე ასევე იყვნენ თქვენი ძმები, არჩილი და რევაზი.***

– ამ მატჩს ვერ ვიხსენებ, მაგრამ მეგობრებმა მითხრეს თქვენ მიერ ხსენებული თამაშის შესახებ. იმ პერიოდში 3 არველაძე დინამოსთვის თამაშობდა.

***– სამწვრთნელო კარიერიდან რომელ უცხოურ კლუბში გსიამოვნებდათ ყველაზე მეტად მუშაობა?***

– სამწვრთნელო კარიერა ალკმაარში დავიწყე, მთავარი მწვრთნელის ასისტენტის როლს ვასრულებდი. ალკმაარში ბევრი რამ ვისწავლე. მარსელ ბრანსთან და ლუის ვან გაალთან მუშაობამ დიდი დახმარება გამიწია, მათგან ბევრი რამ ვისწავლე, დიდი მადლობა ორივე პიროვნებას. ვან გაალის გარდა დიკ ადვოკატთან და რონალდ კუმანთან ერთად ვმოღვაწეობდი. პირველად ქაისერის გენერალური დირექტორი მისტერ ჰურმა მენდო და მთავარ მწვრთნელად მუშაობის შესაძლებლობა მომცა. ეს პერიოდები კარგად მახსენდება.

***– ფიქრობთ, რომ ჰოლანდიური სამწვრთნელო სკოლის მოსწავლე ხართ?***

– დიახ, ნამდვილად ასეა, რადგან ჰოლანდიაში ბევრი რამ ვისწავლე.

***– ვან გაალი, რონალდ კუმანი და დიკ ადვოკატი. რა ისწავლეთ თითოეული მათგანისგან?***

– განსხვავებული სტილის სპეციალისტები არიან. მათ განსხვავებული ხასიათი აქვთ, მაგრამ სამივე მათგანი ცნობილი და წარმატებული მწვრთნელია.

***– როგორი სტილით ითამაშებს თქვენი გაწვრთნილი ფახტაქორი?***

– ეს უნდა იყოს დამოკიდებული კლუბის ტრადიციაზე – ფახტაქორი შემტევ და ლამაზ ფეხბურთს ითამაშებს. ვეცდებით, ჩვენი სურვილები რეალობად იქცნენ. ეს არაა ცარიელი სიტყვები.

***– უკვე ნახეთ უზბეკეთის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი. რას ფიქრობთ უზბეკეთის ჩემპიონატზე?***

– ბევრს ვერაფერს გეტყვით ახლა, თუმცა გუნდები ყურადღებას უთმობენ შემტევ ფეხბურთს.

***– როგორ იმუშავებს თქვენი სამწვრთნელო შტაბი?***

– შტაბის თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აქვს, ჩვენ ვიზრუნებთ როგორც ძირითადი კლუბის, ასევე აკადემიის განვითარებაზე, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა კლუბს დახმარება გაუწიონ მომავალში. კლუბის პრეზიდენტი ჩემი თანამოაზრეა.

***– რა არის „ფონდი არველაძის“ შექმნის იდეა? როგორია ფონდის აქტივობები?***

– სამმა ძმამ შევქმენით ფონდი. ჩვენი მთავარი მიზანია, დავეხმაროთ ბავშვებს, გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. უპირველესად ყურადღებას ვუთმობთ მათ განათლებას, შემდეგ სპორტულ და სხვა სახის აქტივობებს. ფონდი ათ წელზე მეტია, რაც არსებობს. ასევე ვცდილობთ, დავეხმაროთ ბავშვებს, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ.

***– მომხდარა რაიმე კომიკური მომენტი შენს და არჩილს შორის?***

– დიახ, უამრავი. თუ მიმიწვევენ შოუში, მოგიყვებით კომიკურ ისტორიებს, მაგრამ ყველას არა.

***– რას ეტყვით ფახტაქორის გულშემატკივრებს?***

– მათ გარეშე კლუბი ვერ დაიბრუნებს დიდებას. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ გავახაროთ მათი გულები და კლუბმა დაიბრუნოს ძველი დიდება.

# გელა აფრასიძე: „ახალ გამოწვევებს მოუთმენლად ველი“




ფრანგული ტოპ 14-ის გრანდის, მონპელიეს ესპუარებთან (დუბლიორები) 3-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, კლუბის ვებ-გვერდი 19 წლის **გელა აფრასიძესთან** პირველ ინტერვიუს აქვეყნებს.

– გელა აფრასიძე 2016 წელს ლელო სარასენსთან ერთად ქვეყნის ჩემპიონი გახდა და მაშინ ის მხოლოდ 18 წლის იყო. 2015 და 2016 წლებში ის საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატები ითამაშა. გარდა ამისა, 2017 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე მას ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა. წელს ის მონპელიეს შეუერთდა და ესპუართა გუნდთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

***– როდის და რატომ დაიწყეთ რაგბის თამაში?***

– რაგბზე ჩემი ძმა დადიოდა და როდესაც 12 წლის ვიყავი, მეც წამიყვანა. ეს თამაში მიყვარს, რადგან მამაცების თამაშია და ჩემს ხასიათში ჯდება.

***– რა გზა გაიარეთ მონპელიემდე?***

– თამაში თბილისში, ივერიაში დავიწყე, საიდანაც ლელო სარასენსში გადავედი და 2016 წელს კლუბთან ერთად საქართველოს ჩემპიონი გავხდი. 18-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ორჯერ ვითამაშე ევროპის ჩემპიონატის ფინალი, 2015 და 2016 წლებში.

***– ჯერ მხოლოდ 19 წლის ხართ და მონპელიე თქვენი პირველი უცხოური გუნდია. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

– მოხარული ვარ, რომ საფრანგეთში ჩამოვედი და უმაღლესი დონის, ტოპ 14-ში მოთამაშე პროფესიონალურ კლუბს შევუერთდი. ამავდროულად, გული მწყდება საქართველოს, მეგობრების და განსაკუთრებით ოჯახის დატოვების გამო.

***– საფრანგეთი რატომ აირჩიეთ?***

– იმიტომ, რომ ვფიქრობ ტოპ 14 უძლიერესი ჩემპიონატია ევროპაში და შესაძლოა, მთელს მსოფლიოშიც.

***– რა იცით მონპელიეს შესახებ?***

– ვიცი, რომ ესაა უდიდესი კლუბი შესანიშნავი მოთამაშეებით, მათ შორის ქართველებით, რომელთაც ძალიან კარგად ვიცნობ. ჰყავს ახალი მწვრთნელი ვერნ კოტერი, რომელიც მაღალი დონის სპეციალისტია. მასთან მუშაობა იოლი არ იქნება და ეს ჩემს პროგრესს ხელს შეუწყობს.

***– რა არის თქვენი ძლიერი მხარე და რისი გაუმჯობესება გმართებთ?***

– შემტევი მოთამაშე ვარ და კარშიც კარგად ვურტყამ. მიუხედავად ამისა, ბევრი უნდა ვიმუშაო, განსაკუთრებით სისწრაფეზე.

***– რა არის თქვენი მიზანი მონპელიეში?***

– მსურს დავიმკვიდრო ადგილი პირველ გუნდში და საუკეთესოდ მოვემზადო 2019 წლის მსოფლიო თასისთვის, სადაც იმედია, საქართველოს ნაკრებთან ერთად გავემგზავრები.

***– თქვენ იყავით საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების წევრი და ითამაშეთ მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი.***

– ჩემთვის უდიდესი პატივი იყო ამ კვართის ტარება და საკუთარი ქვეყნის წარდგენა, რამაც ჩემი პასუხისმგებლობა ერთი-ორად გაზარდა.

***– მიშა ნარიაშვილმა და დავით ქუბრიაშვილმა ჩვენი სასწავლო ცენტრი გაიარეს, ახლა კი პირველ გუნდში არიან. ეს თქვენთვის დამატებითი მოტივაციაა?***

– რა თქმა უნდა. მოხარული ვარ, ჩემს კოლეგებს რომ შევუერთდი, მათ, ვის მხარდამხარაც მოედანზე მითამაშია. ეს ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. მათ ხშირად ვესაუბრები და ვეკითხები მონპელიეს შესახებ.

***– მზად ხართ ახალი გამოწვევისთვის?***

– რა თქმა უნდა და მოუთმენლად ველი.



# რატომ არის მნიშვნელოვანი ორსულობის პირველი ტრიმესტრი

ეკა ირემაშვილი

ორსულობა ქალის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. იგი ახალი სიცოცხლის დაბადებისთვის ემზადება.

ორსულობა 9 თვეს გრძელდება და მოიცავს სამ ტრიმესტრს. რატომ არის მნიშვნელოვანი პირველი ტრიმესტრი და რა გამოკვლევები უნდა ჩაიტაროს ორსულმა ამ დროს, ამ თემებზე კლინიკა „ახალი სიცოცხლის" სამეანო გინეკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე დიაკონიძე საუბრობს.

**ალექსანდრე დიაკონიძე:**

– ანტინატალური პერიოდი მოიცავს ორსულობის 9 თვეს ახალშობილის დაბადებამდე. ის სამ ტრიმესტრად არის დაყოფილი.

ორსულის მართვა დღესდღეობით რეგულირდება საქართველოში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული პროტოკოლების საფუძველზე. როდესაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ორსულის ზრუნვაზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა გამოიყოს ის 4 უფასო ვიზიტი, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ.

პირველი ვიზიტი ხორციელდება ორსულობის 12 კვირამდე, როცა უნდა დაფიქსირდეს – ორსულობა პროგრესირებს და შესაბამისად სათანადო ე.წ. პროტოკოლის მიერ გათვალისწინებული 12-13 კვირამდე ფოლის მჟავას ე.წ. პროგრამა მუშაობს, რომელსაც უსასყიდლოდ აძლევს ჯანდაცვის სამინისტრო ორსულებს.

***– რომელ კვირაზე უნდა მიმართონ მათ გინეკოლოგს კონსულტაციისთვის?***

– დღესდღეობით საზოგადოების ე.წ. სამედიცინო კუთხით განათლების დონე ძალიან მაღალია და მათ ინტერნეტით იციან ძალიან



ბევრი ინფორმაცია.

პირველ ვიზიტზე როცა მოგვმართავენ, არის ძალიან პატარა ვადა – ორსულობის 4-5 კვირაზე, როცა ორსულობის ე.წ. ექსპრეს ტესტი დადებითია, ისინი ამას აღიქვამენ, რომ ეს ნამდვილად ორსულობაა, მაგრამ ამას სჭირდება შემდგომი დადასტურება.

ორსულობა შეიძლება პროგრესირებდეს, მაგრამ არის თუ არა ეს საშვილოსნოს ღრუში, არის კვერცხსავალ მილში თუ მუცლის ღრუში, ამას ჩვენ ვადგენთ ეხოსკენირებით.

პირველი ანტინატალური ვიზიტი 12 კვირაზე უნდა ჩაიტაროს ორსულმა. ამ ვიზიტში შედის ყველა ის გამოკვლევა, როგორიც არის სისხლის ჯგუფი, სისხლის რეზუსის განსაზღვრა, ბე და ცე ჰეპატიტის სკრინინგი, რომელიც ასევე უფასოა და ფინანსდება ორსულებისთვის.

პირველ ვიზიტზე – 12 კვირაზე მნიშვნელოვანი მარკერები, რომელიც უნდა ჩაუტარდეს ორსულს, არის კისრის ნაკეცი და ცხვირის ძგიდის ეხოსკენირებით მიღებული მონაცემები.

არიან ისეთი ორსულებიც, რომლებსაც არ ახსოვთ, როდის ჰქონდათ მენსტრუალური ციკლი, ამიტომ 12 კვირაზე ჩატარებული ეხოსკოპიის დროს, ცეერელის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს შემდგომში მშობიარობის სავარაუდო ვადის გამოთვლისათვის.

***– რა ფასიანი კვლევები უნდა ჩაიტაროს ორსულმა?***

– მოწოდებულია რეკომენდაციები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ფასიანი კვლევების აუცილებლობაზე, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა, თიესეიჩი და ეფტე 4. ამ ჰორმონების განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თუ ფარისებურ ჯირკვალში რაიმე პათოლოგია და დარღვევა გვაქვს, ეს შესაბამისად ზრდის მოსალოდნელი თვითნებური აბორტის რისკს. აქედან გამომდინარე, სათანადო და დროული ჩარევა ჰორმონალური დარღვევების დროს, ჩვენ საშუალებას გვაძლევს ორსულობის პროლონგირებისთვის.

## დაკარგული ძაღლები შემწვარი სოსისის სუნზე გამოჩნდნენ



ბრიტანეთის კამბრიის საგრაფოს ქალაქ კოკერმაუტში მცხოვრებმა ოჯახმა მათი დაკარგული ძაღლები სოსისების დახმარებით იპოვა.

ცვერგშნაუცერები ჩარლი და თეო ქალაქგარეთ სეირნობის დროს სქელ ნისლში დაიკარგნენ. მათმა პატრონებმა ყველა ნაცნობსა და ნათესავს დაურეკეს და 120-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი, მათ შორის რამდენიმე სამთო მაშველმაც. ისინი რამდენიმე დღის მანძილზე უშედეგოდ ეძებდნენ ძაღლებს, საგულდაგულოდ გადაჩხრიკეს შემოგარენი. სამძებრო ოპერაციაში ასევე გამოიყენეს ორი კვადროკოპტერი, მაგრამ ამ მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო.

მეოთხე დღეს, იმ ადგილის შორიახლოს, სადაც ძაღლები დაიკარგნენ, ცეცხლი დაანთეს და სოსისების შეწვა დაიწყეს. მალე მათთან დაკარგული ჩარლი და თეო მივიდნენ, რომლებიც საჭმლის სუნმა მიიზიდა.

– მათ ძალიან უყვარდათ სოსისები და ყოველ კვირა დღეს ვაჭმევდით. ეს არის საჭმელი, რომლის გამოც ისინი დაბრუნდნენ, – განაცხადა ძაღლების პატრონმა.

## მშობლებმა გამხდარი ქალიშვილი სილიკონის მკერდით დააჯილდოვეს



მშობლებმა თავიანთი 23 წლის ქალიშვილის მკერდის გადიდების ოპერაციის საფასური გადაიხადეს, რომელმაც მათი თხოვნით წონაში 38 კილოგრამი დაიკლო.

ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერის მცხოვრები ჰოლი მოდლინსკი ეგვიპტეში მუშაობის დროს გასუქდა.

– როდესაც სახლში ჩამოვედი, დედამ და მამამ მაშინვე შენიშნეს, რომ წონაში მომატებული ვიყავი, – განაცხადა გოგონამ.

მშობლებმა ის გახდომაზე დაიყოლიეს. ისინი შეპირდნენ, რომ პლასტიკური ოპერაციისთვის ფულს მისცემდნენ, თუ წონაში დაიკლებდა.

ჰოლი თხევად დიეტაზე გადავიდა და პირველივე კვირაში შვიდი კილოგრამი დაიკლო. მეოთხე თვისთვის მისი წონა 78,5 კილოგრამამდე შემცირდა. ამის მიუხედავად ის მიიჩნევდა, რომ მისი გარეგნობა არ გაუმჯობესებულა.

– საკუთარი სხეული მას შემდეგ შემჯავრდა, როდესაც 38 კილოგრამი დავიკელი, – ამბობს ჰოლი, – მკერდი ცარიელი ტომრებივით ჩამომეკიდა.

მშობლებმა საკუთარი დაპირება გაიხსენეს და მას ხუთი ათასი ფუნტი სტერლინგი მისცეს მკერდის გადიდების ოპერაციის გასაკეთებლად. ახლა უკვე, გოგონას თქმით, რომელსაც ადრე ფოტოსურათების გადაღება არ უყვარდა, მუდმივად იღებს სელფის.

კალეიდოსკოპი

## ამერიკელი პენსიონერი ქალი პოლიციისგან გაქცევას ყველგანმავლით შეეცადა



ამერიკის ტეხასის შტატის დენტონის ოლქის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, ჩაემტვრიათ ყველგანმავლის ფანჯრის მინა, რათა შეეჩერებინათ 81 წლის ქალი, რომელიც მათ მოთხოვნას არ დაემორჩილა.

პენსიონერის დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა. ერთ დღეში ვიდეორგოლი მილიონზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, ქალმა ვერ შენიშნა, როგორ გადავიდა მოძრაობის შემხვედრ ზოლში. ის ვერ მიხვდა, თუ რატომ მივიდნენ მის ავტომობილთან პოლიციელები და კარის გაღება მოსთხოვეს. ქალმა გადაწყვიტა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისგან წასულიყო. მისი თქმით, ის უბრალოდ უახლოეს კაფეს ეძებდა.

## გაღვიძებულმა ქალმა საკუთარ საწოლში უცხო მამაკაცი აღმოაჩინა



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ პალისეიდს-პარკში ძებნა გამოცხადდა მამაკაცზე, რომელმაც სხვის სახლში შეაღწია და ნებართვის გარეშე მის გვერდით საწოლში მოკალათდა.

ეჭვმიტანილმა სახლში დაახლოებით დილის ხუთ საათზე შეაღწია და მძინარე ქალის გვერდით მოკალათდა. შემდეგ გააღვიძა და ჰკითხა, შეიძლებოდა, რომ ღამე მის საწოლში გაეტარებინა. როდესაც ქალმა ყვირილი ატეხა, ის გაიქცა.

ქალი ამტკიცებს, რომ მამაკაცი გამხდარი იყო და სქელჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. პოლიციისთვის კიდევ ორი ქალის შესახებ გახდა ცნობილი, რომელთაც მსგავსი გარეგნობის მამაკაცი დასდევდა და მათი დახმარებით ეჭვმიტანილის ფოტორობოტი შეადგინა.

## მამაკაცმა შვილის ნუკრი დახრჩობას გადაარჩინა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ნოქსვილში დაქირავებული ნავით დასვენების დროს, მამაკაცმა წყალში დახრჩობისგან შვილის ნუკრი გადაარჩინა.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში მამაკაცის მეგობარმა გოგონამ კეიტლინ რიდელმა გამოაქვეყნა. ხუთ დღეში ვიდეორგოლი 7,6 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპრომნოზი

### 6 ივლისისათვის



**ვერძი** – მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით, როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი. სურვილი გისრულდებათ. **კურო** – კონფლიქტის ალბათობა დიდია. დღეს მაქსიმალური თავშეკავება უნდა გამოიჩინოთ. **ტყუპები** – საქმიან მოლაპარაკებებს სასურველი შედეგი მოჰყვება. კარგი პერიოდია სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – კონფლიქტს გარშემომყოფებთან ნეგატიური დასასრული ექნება. ერიდეთ მკვეთრ გამონათქვამებს. **ლომი** – რთული და წინააღმდეგობრივი დღეა. ეცადეთ, ოპტიმისტურად განეწყოთ. **ქალწული** – დღეს, შესაძლოა, დიდი ხნის ოცნება აისრულოთ. ეს, გარკვეულწილად, თქვენს შეუპოვრობაზეც არის დამოკიდებული. **სასწორი** – თუ შესაბამისად იაქტიურებთ, ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებთ. ნუ იქნებით ზედმეტად ემოციური. **ღრიანკალი** – ხელსაყრელი მომენტი შეარჩიეთ და ჩანაფიქრის განხორციელებას მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მშვილდოსანი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი სირბილე და დათმობა გმართებთ. გადადეთ ქალაქიდან გასვლა. **თხის რქა** – ხელმძღვანელ პირებთან საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **მერწყული** – ფხიზლად იყავით, არავინ მოგატყუოთ. საკუთარ აზრს სხვებს თავს ნუ მოახვევთ. **თევზები** – კარიერას ყურადღება მიაქციეთ. იზრუნეთ თვითგანვითარებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 2. ღვინის ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ერთ-ერთი სრუტე; 11. სამშენებლო მასალა; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად:** 5. ჩინური ნავთობკომპანია; 6. ქალაქი ავსტრიაში; 7. ესპანელი მხატვარი; 10. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული დაავადება; 13. ფულის ერთეული ანგოლაში; 15. გულუბრყვილო ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში ძველად; 18. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 20. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 22. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 23. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 24. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბონი; 2. ომი; 3. ვილსდორფი; 4. შნეკი; 5. ცინიზმი; 8. ნანა; 9. მენისკი; 10. ტარიბანა; 12. ძელქვა; 13. სეიმი; 15. წუნდა.

**თარაზულად**: 1. ბარამბო; 6. დიპტანკი; 7. ნანტი; 10. ტესტი; 11. ონისე; 13. სპიჩი; 14. ანწლი; 16. ქადა; 17. იაგუნდი; 18. სურამი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დებეტი; 2. გიენოსი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. სკოტები; 12. იავა; 14. შინი; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. ლიმიტი; 21. გენკი.

**თარაზულად**: 5. კოტირება; 6. ბენეტონი; 7. ინტერპოლი; 10. მარინა; 13. ვენერა; 15. ავსტრია; 18. ასკოტი; 20. ემისია; 22. სამეგრელო; 23. ატრიბუტი; 24. ოკულისტი.

# რა თანხები გაფლანგა კულტურის სამინისტრომ

შესყიდვების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი კულტურის სამინისტროსთან დაკავშირებით ინფორმაციას აქვეყნებს და მიხეილ გიორგაძის უწყებაში არსებულ ვითარებაზე საუბრობს:

– 2017 წლის 23 ივლისს „ბლექ სი არენაზე“ გაიმართება მომღერალ ქეთი მელუას კონცერტი. ამ კონცერტის საფასურად „ბლექ სი არენა“ ბიუჯეტიდან მომღერალს 100.000 აშშ დოლარს გადაუხდის.

მოლაპარაკებებს აწარმოებდა კულტურის მინისტრთან, მიხეილ გიორგაძესთან, დაკავშირებული კომპანია „ისტერნ პრომოუშენი“.

შპს „ისტერნ პრომოუშენს“ შერჩევის გარეშე გაუფორმდა დამატებით, ცალკე ხელშეკრულება 67.726 ლარზე.

ვნახოთ, რაში და რამდენს იღებს თანხას ეს კომპანია.



წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ, გარდა იმ 100.000 აშშ დოლარისა, ცალკე ბიუჯეტიდან ვიხდით სასტუმროს მომსახურების, კვების და ტრანსპორტით მომსახურების საფასურს და, აგრეთვე, რაც სრულიად წარმოუდგენელია, „ისტერნ პრომოუშენის“ საკომისიო შეადგენს ხელშეკრულების თითქმის 50%-ს, ანუ 30.655 ლარს.

სატრანსპორტო ხარჯები – 3177.96, შიდა სატრანსპორტო ხარჯი – 3177.96, ცხოვრების ხარჯი – 10850, სასტუმრო მომსახურება – 10850, კვების და კულისების ხარჯი – 12711.85, კვების ხარჯი – 2542.37, კეიტერინგი – 5084.74, პროექტის სამუშაო ჯგუფის სამივლინებო ხარჯი და კულისების მომსახურება – 5084.74, „ისთერნ პრომოუშენის“ მომსახურების საკომისიო – 30655.30, ჯამი დღგ-ს გარეშე – 57395.11, დღგ – 10331.11, ჯამი – 67726.22.

ბატონი გიორგაძე ასე თუ არიგებს ხელშეკრულებებს, წარმოგვიდგენია, რა ჰონორარები იქნება გაცემული „აეროსმიტის“ მოწვევის ორგანიზებაზე, რომელიც ბიუჯეტს მხოლოდ ერთი ხელშეკრულებით 1.500.000 აშშ დოლარი დაუჯდა!

საინტერესოა, შეიძლებოდა თუ არა ამ ხარჯის შემცირება? ვისთან აწარმოა მოლაპარაკება ამ კომპანიამ? რა უფლებით უხდის „ბლექ სი არენას“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამხელა საკომისიოს?

ეს არ არის ერთეული შემთხვევა. ასე, მაგალითად, ქართველი მომღერლის, ნინო ქათამაძის, კონცერტი, რომელიც იმავე „ბლექ სი არენაზე“ გაიმართება, ბიუჯეტს 145.499 ლარი დაუჯდება. ეს ხელშეკრულება, აგრეთვე, უკონკურსოდ, „ბლექ სი არენამ“ გაუფორმა ახალშექმნილ კომპანიას, „ბუკაჯაზ ერთენთეითმენთს“ ს/კ 406209730, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე 1 თვით ადრე დარეგისტრირდა 2017 წლის 4 მაისს.

ამ კომპანიის დამფუძნებელი 100% წილით გახლავთ მურმან კარტოზია, რომელიც, ამავდროულად, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერია. თავისთავად, ეს თეატრიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს თანხებს!

საერთოდ, რა შუაშია ეს კომპანია, რომელიც ერთი თვის შექმნილია და რა შუაშია ამ მომსახურებასთან მურმან კარტოზია, რომელიც, თავის მხრივ, კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილთან, ამ თეატრის აშშ-ში, თურქეთსა და მოლდოვაში ტურნეს დაფინანსებებს განიხილავენ. წარმოგვიდგენია, რა თანხები იქნება გაწერილი ამ ტურნეზე?

აღსანიშნავია, რომ ნინო ქათამაძის ჰონორარი შეადგენს მხოლოდ 25.000 ლარს და დანარჩენი კი ამ კომპანიის მომსახურება, მუსიკალური გაფორმება და უზომოდ მაღალი ჰონორარებია.

# ნინი ბადურაშვილი: „მაგრად დავიღალე მოგონილი იმიჯის გამოსწორებით!“



მომღერალი ნინი ბადურაშვილი უკვე მიეჩვია, რომ ყოველთვის ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მის პოპულარობაში დიდი წვლილი ჟურნალისტებს მიუძღვით, რომლებსაც ნინი კიდევ ერთხელ გაუნაწყენდა:

– მივმართავ სააგენტოებს! მაინტერესებს, როდესაც გამოდის ჟურნალი კონკრეტული სათაურით, თქვენ შემდეგ რატომ უცვლით სათაურს და თან ისეთს აწერთ, რაც, აპრიორი იცით, აგრესიას გამოიწვევს?! ანუ თქვენთვის რაც უფრო მეტი სალანძღავი კომენტარი დაიწერება, მით უფრო მომგებიანია თუ უბრალოდ, კონკრეტულ ადამიანებზე ხართ გადაკიდებული და მიზანმიმართულად აკეთებთ ამას?! სწორედ ასეთი შემთხვევების გამო აღარ ვთანხმდები ინტერვიუებზე, რადგან მაგრად დავიღალე მოგონილი იმიჯის გამოსწორებით! გვეცით პატივი, თუ შეიძლება.

# თათა ჯაშს ხელი ქოლდფლეის კონცერტზე სთხოვეს



ბალერინა თათა ჯაში პროექტში „შენ შეგიძლია ცეკვა“ მონაწილეობდა, სადაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. თათა პოპულარული გახდა და მას გულშემატკივართა არმია გაუჩნდა.

მართალია თათამ პროექტში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ყველაზე მთავარი – სიყვარული იპოვა. მისი რჩეული ტელეკომპანია „იმედის“ დიზაინერი გიორგი ბარნაბიშვილია. საყვარელ ადამიანთან „ქოლდფლეის“ კონცერტზე წასულმა კი მისგან ნიშნობის ბეჭედი და მთავარი კითხვა, „თანახმა ხარ ცოლად გამომყვე“ მიიღო. რაზეც თათამ თანხმობით უპასუხა. ხელის თხოვნის ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა. თათას გაბედნიერებას მეგობრები და გულშემატკივრები ულოცავენ.

**თათა ჯაში:**

– არასდროს ვიცოდი „ბედნიერების ცრემლი“-ს განსაზღვრება. როცა სამყაროს ყველა დადებითი მუხტი შენში იყრის თავს, სწორედ მაგ დროს იფეთქებს ბედნიერების ცრემლებიც და თურმე, ამაზე საოცარი შეგრძნება მსოფლიოში არ არსებობს! უსასრულო მადლობა არ არის საკმარისი, ამ განუმეორებელი ემოციის მონიჭებისთვის!

ძალიან იღბლიანი ვარ, შენ რომ ჩემი ადამიანი გქვია და უზომოდ მეამაყები ბაე! სიტყვიერად რთულია ამ გრძნობის გადმოცემა, ეს არის ემოციათა ზღვა, რომლის გამოხატვითაც 100 სიცოცხლე არ დავიღლები! მიყვარხარ უზომოდ, უსაზღვროდ და უკიდეგანოდ.

# ლევან ხარანაულის უცნობი ტილოები გამოიფინება




7 ივლისს ,,ღვინის ქარხანა №1-ში“ ლევან ხარანაულის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნება.

რეტროსპექტიული ხასიათის გამოფენა როგორც ძველ, ასევე ბოლო პერიოდში შესრულებულ, ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობ ტილოებს აერთიანებს.

ლევან ხარანაულმა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა და უკვე 34 წელია ეწყობა მისი პერსონალური გამოფენები როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთსა და იტალიაში.

ლევან ხარანაულის შემოქმედება მოიცავს პორტრეტებს, პეიზაჟებსა და ნატურმორტებს. მხატვარი ასევე მუშაობს წიგნის ილუსტრაციებზეც, რისთვისაც ლევან ხარანაული 10 წლის წინ პრემია ,,გალას“ ლაურეატი გახდა, როგორც წიგნის მხატვრობის საუკეთესო ავტორი ბავშვებისთვის ადაპტირებული ,,დონ კიხოტის“ ილუსტრაციებისთვის.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ გალერეაში, თბილისის მხატვრის სახლში, სენტ ისაიას გალერეაში, იტალიაში. ასევე კერძო კოლექციებში საქართველოში, გერმანიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ესპანეთში.

ორი კვირის განმავლობაში დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, გამოფენაზე 30-ზე მეტი ფერწერული ტილო იხილოს, რომელთა უმრავლესობა კერძო კოლექციებიდანაა წარმოდგენილი.

# ნიკოლოზ წულუკიძე ზუგდიდის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დაინიშნა



თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დაინიშნა. ინფორმაცია ამის შესახებ ზუგდიდის თეატრმა თავად გაავრცელა. თეატრი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია, შენობა ენგრევა და რეპეტიციებსაც მშობლიური შენობის გარეთ გადის, სიახლეებს არ ეპუება და ახალ სპექტაკლებზეც აქტიურად მუშაობს.

ნიკოლოზ წულუკიძე ფართო მაყურებელმა მას შემდეგ გაიცნო, რაც ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა. იგი ტელეკომპანია „იმედზე“ „კულინარიულ დუელს“ უძღვებოდა, მოგვიანებით შუადღის გადაცემაში რუბრიკა „პერსონა“ მიჰყავდა, სადაც ცნობილ ქართველ ხელოვანებზე ცნობილ სტუმრებთან ერთად საუბრობდა.

თეატრმცოდნე ახლაც ტელეკომპანია „იმედში“ მუშაობს, თუმცა ეს ხელს სულაც არ უშლის, ზუგდიდის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედაც იმუშაოს.

# ბორჯომში მდებარე სანატორიუმ „ლიბანს“ უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა



ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიბანში მდებარე ყოფილი სანატორიუმის შენობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

რთული გეგმის მქონე შენობა – სანატორიუმი „ლიბანი“ მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, ხშირი ტყით დაფარულ ლიბანის პლატოზე, ზღვის დონიდან 1368 მეტრზე. სანატორიუმი „ლიბანი“ აშენებულია XX საუკუნის I ნახევარში. მის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ გეგეჭკორს. იგი იყო სანატორიუმის პირველი დირექტორი, რომელიც ტუბერკულოზთან ბრძოლის პირველ მძლავრ კერას წარმოადგენდა.

შენობა ამპირის სტილშია აშენებული. მისი მთავარი კორპუსი სიგრძეში 153 მეტრია და სამი სართულისაგან შედგება. ნაგებობის მეორე სართულზე კი 80 ოთახია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება შპს ტ-5 ღვაწლმოსილი მუშაკის, ბატონ

**ლევან ლოთვაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 6 ივლისი**

**07.00** დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები/ **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.40** C - სტუდია **16.30** "დღე მუზეუმში" **17.00** დოკ/ფ **17.20 ფეხბურთი.19** წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. **ინგლისი – ნიდერლანდები** (პ/ტრ თბილისი) **19.30** "ტელებლოგი" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ველვეტი"** **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"თორმეტი მაიმუნი"** (ბ.პიტი) **03.40** "პირადი ექიმი"

**08.00** დოკ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **09.00** დოკ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **11.05** დოკ/ფ "სუფრაჟისტები" **12.00, 22.00** ტ/სერ. **"კედრის ყურე"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.00** დოკ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **15.00** დოკ/ფ "ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" **17.00** დოკ/ფ "ნამდვილი პანამა" **18.00** დოკ/ფ "მარი კიური" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **19.50 ფეხბურთი - 19** წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. **გერმანია - ბულგარეთი** **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. **"კატერინა და მისი ქალიშვილები"**

**05.50, 14.40** სერ. **"ელიფი"** **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.55** სერ. **"ძმა"** **3** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ **"კარგი ტყუილი"** **02.45** მხ/ფ **"წითლები"**

**06.00, 18.30** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **06.45, 20.03** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"ინდური საგა"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **22.00** პროფილი - დასკვნითი

**08.30** ან/სერ. ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. **"ერთხელ ზღაპარში"** **13.00** სერ. **"მოტივი"** **15.00** სერ. **"ანტიმაფია"** **17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** **19.00** სერ. **"ჰანიბალი"** **21.00** სერ. **"მაფიოზა"** **22.30** მხ/ფ **"ჰობიტი - მოულოდნელი მოგზაურობა"** **01.40** მხ/ფ **"ჰობიტი - სმაუგის განადგურება"** **04.40** მხ/ფ **"ჰობიტი – ხუთი არმიის ბრძოლა"** **07.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **07.30** ან/სერ. "ატომი"

**08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. **"ღმერთების ხელდასხმული"** **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50, 22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** **10.40, 13.40, 14.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40** ახალი ამბები **11.30** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XIX ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.00** ბიზნესკოდი **15.00 3-დან 5-მდე** **16.25** დოკ/ფ "მოგზაურობა საოცრებათა სამყაროში" **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.00** პრიორიტეტი **21.30** რემისია **1.00** მხ/ფ **"ჯოჯოხეთში"**

**06.15** ქრისტიანული სწავლება **06.40** პატერიკი-ანგელოზისგან მართალი ადამიანის მფარველობა **06.45** აქტუალური თემა "აბორტი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ილია ზდანევიჩი" **10.40** სადღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ხსოვნა"** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "კალმახი ფოლგაში, წითელი ბულგალური წიწაქიკის სალათი" **15.35** კვირიაკის სიუჟეტი "ცოცხალი ლეგენდები-თემურ ჩხეიძე" **16.00** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება "წინაქრისტიანული ხანის სამშენებლო ხელოვნება" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ხსოვნა"** 2 **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ "საქართველოს ისტორია-საქართველო მე-16 საუკუნეში" **21.55** საეკლესიო კალენდარი **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** კვირიაკეს სიუჟეტი "ემიგრანტი-კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "კონსტანტინოპოლის მხრიდან ავტოკეფალიის აღიარება" 1 **00.30** დ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 ივლისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3993

ევრო — 2.7237

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1042

100 რუსული რუბლი — 4.0458

## ამინდის პროგნოზი 6 ივლისისთვის





**27 ივნისიდან**

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




**21 ივნისიდან**

ილია ილფი
ევგენი პეტროვი

**თორმეტი სკამი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**





## იუმორი



●●●

ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულმა ქმარმა ცოლი რესტორანში დაპატიჟა. საღამოს, რესტორნიდან გამოსული ქმარი ცოლს ეუბნება:

– შენთან წავიდეთ.

– რას ამბობ! ქმარი ჩამოვიდა!

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, შეგიძლია მითხრა, როდის გაქვს ორგაზმი?

– კი მაგრამ, საყვარელო, ამის გამო სამსახურში ხომ ვერ დაგირეკავ!

●●●

ერთი ახლობელი მეორეს ეუბნება:

– არ გინდა, მანქანა რომ იყიდო? ერთად ვისეირნებდით!

– წადი შენი!

– რა მოხდა?

– მე შენ ხომ არ გეუბნები, ცოლი რატომ არ მოგყავს, ერთად გავერთობოდითო?

●●●

ერთი მეორეს ეკითხება:

– ინგლისურად ლაპარაკობთ?

– მხოლოდ ანბანთან, ჯერჯერობით ადამიანებთან მრცხვენია.

●●●

კაცი სოფელში ურემში შებმული ეტლით მივიდა და დაიძახა:

– ხალხო!!! ნახშირი მოვიტანე!!!

ამ დროს დაღლილმა ცხენმა თავი მოაბრუნა და უპასუხა:

– ჰო, დედიშენისამ, შენ მოიტანე...

●●●

ქმარი სახლში უხასიათოდ დაბრუნდა, ტანსაცმელი უხალისოდ გამოიცვალა და სამზარეულოს მიაშურა. ცოლმა გადაწყვიტა, ახალი ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობებინა და მეუღლე გაეხარებინა:

– ძვირფასო! ფეხმძიმედ ვარ!!!

– ვაა, შენც...

●●●

ლუდის ბარში.

– გაგიმეოროთ?

– თუ შეიძლება.

– გიმეორებთ. წადით, ბარი დაიკეტა.

●●●

მოსამართლე ახალგაზრდა გოგონას ეკითხება:

– რატომ მოწამლეთ მეზობლები?

– აბა სხვა რა უნდა მექნა? მაღაზიაში მითხრეს, რომ უკეთესი იქნება თუ ტარაკანებს მეზობლებთან ერთად მოწამლავთო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



**29 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი

**ოცდაათი წლის ქალი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**





## პეპე კარიერას ბეშიქთაშში გააგრძელებს



პორტუგალიელი მცველი პეპე ოფიციალურად თურქული ბეშიქთაშის ფეხბურთელია. პეპე უკვე ჩავიდა სტამბოლში, სადაც ბეშიქთაშთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ პეპეს მიმართ დაინტერესებას სხვა გუნდებიც იჩენდნენ, მაგრამ საბოლოოდ პორტუგალიელმა სხვა კლუბებს ბეშიქთაში ამჯობინა.

პეპემ რეალი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა, რადგან სამეფო კლუბმა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება არ ისურვა. რეალში პეპემ 10 წელიწადი გაატარა და 13 ტიტულის მოგება შეძლო.

ამჟამად პეპე 34 წლის არის და კიდევ რამდენიმე წელიწადი აპირებს ფეხბურთის თამაშს.

## ჯონ ტერის ჩელსის მწვრთნელობა სურს



ასტონ ვილას ახალწვეულმა ჯონ ტერიმ განაცხადა, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ის ჩელსის მწვრთნელობაზე ოცნებობს. ტერის თქმით, ეს ოცნება რეალობისგან შორს არ არის.

– ჯერჯერობით ფეხბურთელი ვარ და კარიერის დასრულებას არ ვაპირებ. როდესაც კარიერას დავასრულებ, აუცილებლად გავხდები მწვრთნელი და ჩემი ოცნებაა, რომ ჩელსის ჩავუდგე სათავეში. ვფიქრობ, ამის გაკეთება შემიძლია, რადგან ჩელსიში ძალიან დიდი დრო გავატარე და ამ გუნდს კარგად ვიცნობ, – განაცხადა ჯონ ტერიმ.

ამჟამად ტერი 36 წლის არის და მომავალი სეზონიდან ის ასტონ ვილას ღირსებას დაიცავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სინდი კროუფორდის ქალიშვილმა თამამი სელფი გამოაქვეყნა



1990-იანი წლების სუპერმოდელის სინდი კროუფორდის ქალიშვილმა კაია გერბერმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა თამამი სელფი. 15 წლის მოზარდის მიკრობლოგში ფოტოსურათი 30 ივნისს გამოჩნდა.

– უნიფორმა, – მიაწერა კადრს, რომელშიც მას თეთრი ფუმფულა ხალათი აცვია, რომელიც მხრებიდან ჩამოცურებულია და დეკოლტეს აშიშვლებს.

ამ ფოტოსურათმა ამ დროისთვის უკვე მიიღო 135 ათასზე მეტი მოწონება, თუმცა ის ყველა მისი გვერდის ხელმომწერს არ მოსწონებია. ბევრმა მათგანმა ჩათვალა, რომ ასეთი ფოტოებისთვის კაია გერბერი მეტისმეტად ახალგაზრდაა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონს გამოეთიშა



ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის მეორე წრეში ამერიკელ სემ ქუერისთან დამარცხდა ანგარიშით 4:6, 6:3, 3:6, 3:6. შეხვედრა არცთუ სანახაობრივი გამოდგა და ყველა სეტი თითო ბრეიქმა გადაწყვიტა. ქუერიმ სამჯერ მოახერხა ბასილაშვილის ჩაწოდებაზე გეიმის მოგება, ნიკამ კი ეს მხოლოდ ერთხელ შეძლო.

ამ წაგების მიუხედავად, ბასილაშვილმა რეიტინგში ორი პოზიციით წინ წაიწია და ამჟამად ის მსოფლიოს 49-ე ჩოგანია.

## ანტონიო რუდიგერი ჩელსიში გადავიდა



ლონდონის ჩელსიმ იტალიური რომას ცენტრალური მცველი ანტონიო რუდიგერი იყიდა. რუდიგერმა რამდენიმე დღის წინ გერმანიის ნაკრებთან ერთად კონფედერაციის თასი მოიგო და ამ ტურნირზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩელსის ცენტრალური მცველის დამატება სურდა და ლონდონურმა კლუბმა სურვილი აისრულა.

ეს ტრანსფერი ჩელსის, სავარაუდოდ, 31 მილიონი ევრო დაუჯდება, თუმცა სატრანსფერო ფასმა, შესაძლოა, მოიმატოს.

## უეინ რუნი შესაძლოა ევერტონში დაბრუნდეს



მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი უეინ რუნი შესაძლოა ევერტონში დაბრუნდეს. რუნი ევერტონის აღზრდილია და კარიერაში პირველი ნაბიჯები უეინმა სწორედ ევერტონში გადადგა. 2004 წელს ის მანჩესტერ იუნაიტედში გადავიდა და 13 წლის მანძილზე მან ამ გუნდის შემადგენლობაში 253 გოლის გატანა შეძლო. წინა სეზონი რუნისთვის არ გამოდგა წარმატებული, რადგან ჟოზე მოურინიო მას არ ენდობოდა და იშვიათად ათამაშებდა ძირითად შემადგენლობაში.

ევერტონმა რუნის ამ გუნდში დაბრუნება შესთავაზა და გავრცელებული ინფორმაციით რუნი თანახმაა.

ტრანსფერის სხვა დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 9. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 10. ძალიან იშვიათი ნივთი; 12. სამგზავრო მატარებლის ვაგონის ქართული სახელწოდება; 13. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 15. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. მდინარე ამაზონის აუზში ბინადარი მტაცებელი თევზი; 6. ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპული ჩანასახი; 13. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 14. რაიმეს განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე; 16. ძვირფასი ლითონი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. სოფელი ხევსურეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

